# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 მარტი, 2010 წელი.

№43 (6409)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ხალხს პიარპოლიტიკა ყელში ამოუვიდა (5)



თბილისის მერად თუ ჭანტურიას ავირჩევთ, პურის ფასი განახევრდება?!



## (2) წინ მოსაწყენი გაზაფხული არ გველის!

„ხელისუფლება ისე უნდა შევცვალოთ, რომ ამან უარესი შედეგი არ მოიტანოს“



(4)

## ნინო ბურჯანაძე: მე მკაფიო პროქართული კურსი მაქვს (8)



## სხედან კონსტიტუციონალისტები და კონსტიტუციას წერენ

## 9 მარტის ტრაგიკული მოვლენებიდან 54 წელი გავიდა (11)

## „შესაძლოა, პუტინმა ბურჯანაძის რეიტინგის ასაწევად ემბარგო მოხსნას და სავიზო რეჟიმი გაამარტივოს“ (3)

## პროფესიონალი ყველა დროში საჭიროა! (6)

რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ ინჟინერს გიორგი ჭრელაშვილს 80 წელი შეუსრულდა.



## „ჩვენ უნდა დავაჭიროთ ხელი გადატვირთვის და არა წამლის დილაკს“ (2)

## იმ ბოძებს თავის დროზე „სხვა ადგილას“ და „სხვა დანიშნულებით“ გამოგაყენებინებენ, ბორის! (2)



## რომელი ჩაია ყველაზე სასარგებლო? (7)

ნაბიჯი

# წინ მოსაწყენი გაზაფხული არ გველის!



**დიდი განსჯა-განხილვის შემდეგ მერობის ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის პრაიმერის ჩატარების გამოვლენის ინიციატორი პარტიები საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. თუმცა მანამდე იყო დამქანცველი მოლაპარაკებები სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან, მათ შორის არჩევნების ბოიკოტის მომხრეებთანაც. განსაკუთრებული ყურადღება ირაკლი ალასანიას ნაბიჯებმა გამოიწვია.** მისი გადაწყვეტილება, შეერთებოდა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ირგვლივ შემოკრებილ პარტიებს, ლამის ალიანსის დაშლის მიზეზი გახდა, მაგრამ როგორც ჩანს, ალასანიამ შერჩეული ჭირი ამჯობინა შეუჩვეველ ლხინს, და რადგან არც მერობის პრეტენდენტთა სიიდან ამოეწერა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც არაფერი შეიცვლება. მით უმეტეს მან განაცხადა, რომ საერთო ოპოზიციურ გადაწყვეტილებას კიდევ ერთი თვე ვერ დაელოდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამომრჩევლისთვის და, საერთოდ, ზედმეტად პოლიტიზებული საზოგადოებისთვის, რომელსაც პოლიტიკურ ექსპერტობაზე აქვს პრეტენზია, ბოლოდროინდელი პროცესები როგორც ოპოზიციის შიგნით, ასევე მის გარეთ, ერთგვარ თავსატეხად იქცა, მაგრამ რა გასაკვირია? თვითონ ოპოზიციასაც არ აქვს ჩამოყალიბებული გეგმა. მათი ქმედებები მარტის ამინდივით ცვალებადია.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევდა, რომ ეს წინასაარჩევნო გადაჯგუფებები მარტის შუა რიცხვებისთვის უკვე დასრულდებოდა რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციას ძალიან ცოტა დრო დარჩებოდა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, რომელიც მერობის სახელისუფლებო კანდიდატმა არაოფიციალურად დიდი ხანია დაიწყო და მისი რეიტინგი ოპოზიციისთვის საშიშ ნიშნულს მიუახლოვდა. მართალია, ამბობენ, არც ხელისუფლებაშია ერთიანი აზრი გიგი უგულავას კანდიდატობასთან დაკავშირებით, მაგრამ უდავოა, რომ ამდენი დრო, მატერიალური (მათ შორის ადმინისტრაციულიძ და ფიზიკური რესურსი მის სასარგებლოდ ტყუილად არ დაიხარჯებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე სიცხადეს იძენს მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის", ხალხის პარტიისა და კონსერვატიული პარტიის ქმედებები. კერძოდ, მათი გადაწყვეტილება 6 პუნქტისგან შედგება და სამოქმედო პროგრამის პირველ ეტაპს მოიცავს. საბოლოო გადაწყვეტილებით, თბილისის მერობის კანდიდატი გამოვლინდება სოციოლოგიური გამოკითხვის და არა პრაიმერის გზით; საკრებულოს წევრობის კანდიდატების ვინაობას პრაიმერი გვამცნობს, სოციოლოგიური გამოკითხვა და პრაიმერი ჩატარდება 5-დან 20 აპრილამდე, მასში მონაწილეობა ღიაა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის; თბილისის მერობის კანდიდატი კი გამოცხადდება 9 აპრილს პრაიმერის ინიციატორი პარტიების შეკრებაზე სპორტის სასახლეში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ოპოზიციური ფრთა პარალელურად საპროტესტო აქციებსაც გეგმავს, მათი მოთხოვნები კი ძირითადად სოციალურ საკითხებს მოიცავს – გადასახადების შემცირება, სამუშაო ადგილების გაზრდა და ა. შ.

იმედია, საშინლად ქაოსური მოძრაობის შემდეგ ყველაფერი დალაგდება, ყველა იპოვის თავის ადგილს და ამ ადგილიდან შეეცდება, რაღაც მცირეოდენი პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მაინც. ბევრი კი ფიქრობს, რომ მომავალი ადგილობრივი არჩევნები ოპოზიციურ პარტიათა ზოგიერთ წარმომადგენელს პოლიტიკურ სამარეს უმზადებს, მაგრამ სანამ წინასწარ ვიგლოვებთ, მანამდე საპასუხო ქმედებებს მივადევნოთ თვალი, რასაც თუნდაც ალასანიას ალიანსი ან ლევან გაჩეჩილაძე ზურაბ ნოღაიდელის, კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის ნაბიჯების საპასუხოდ გააკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, წინ მოსაწყენი გაზაფხული ნამდვილად არ გველის.

**ანა წიწილაშვილი**

პრეზენტაცია

# ბაღათურიას მეუღლე „ქალთა კლუბს" უხელმძღვანელებს

**ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „ქართული დასის" ლიდერმა ახალგარემონტებულ პარტიის ოფისში ჟურნალისტები მიიწვია და ახალი ორგანიზაციის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის დაწყებამდე კი ყველა მანდილოსან ჟურნალისტსა და მანდილოსან „დასელს" 8 მარტი ლამაზად შეფუთული ტიტებითა და წითელი ღვინით მიულოცა. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მისი მეუღლე ნათია ფოფხაძე.**

„ქართულ დასთან" ერთად შეიქმნა „ქალთა კლუბი", რომლის ხელმძღვანელიც ჯონდის მეუღლე ნათია ფოფხაძე იქნება. „ქალთა კლუბის" შექმნის ძირითადი მიზანი მსჯავრდებულ ქალებზე, არასრულწლოვან პატიმრებზე, ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებზე, ახალგორიდან და აფხაზეთიდან დევნილ და სხვა სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვაა.



„ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვაზე, იზრუნებს მათ პოლიტიკურ განათლებაზე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენებში", – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ქალთა კლუბი აქტიურად ჩაერთვება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ორგანიზაცია გეგმავს თანამშრომლობას როგორც ქალთა არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე იზრუნებს ქალთა თვითრეალიზაციის საკითხებზე და საქართველოში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაზე.

როგორც გაირკვა ქალთა კლუბის წევრები თვეში ერთხელ შეიკრიბებიან, სადაც მათი საქმიანობა შეჯამდება. ქალთა კლუბში გაწევრებული არიან, ასევე „ქართული დასის" ქალბატონებიც. მეუღლესავით იმარჯვებს თუ არა ნათია ფოფხაძე, ამას დრო გვიჩვენებს.

**ხატია მუსერიძე**

ინფორმაცია

## იმ ბოძებს თავის დროზე „სხვა ადგილას" და „სხვა დანიშნულებით" გამოგაყენებინებენ, ბორის!

**ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. სპეციალური რწმუნებული პოსტ-კონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის არსებული საზღვარი ყველა ოფიციალურ დოკუმენტში „სახელმწიფო საზღვრად" მოიხსენიონ".**

**ჩოჩიევი ასევე აცხადებს, რომ ცხინვალის კრიმინალური რეჟიმი საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო საზღვარზე ბოძების დამონტაჟებას გეგმავს.**

**ჩოჩიევის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ცხინვალის სეპარატისტულმა რეჟიმმა მას შემდეგ მიიღო, რაც თბილისმა საზღვრების დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.**

**– ბოძებს, რომელსაც დავამონტაჟებთ, მითითებული იქნება, რომ აქ სახელმწიფო საზღვარი გადის, – აღნიშნა ჩოჩიევმა.**

**აღსანიშნავია, რომ ოსმა სეპარატისტებმა ფორმულირება „სახელმწიფო საზღვრის" არარსებობის შესახებ, მცირე ხნის წინათ უკმაყოფილება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე გამოხატეს და თანათავმჯდომარეებს დაემუქრნენ კიდეც, რომ „თუ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ფორმულირება „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარი" არ დაფიქსირდებოდა, ისინი მოლაპარაკებების გაგრძელებაზე უარს იტყოდნენ.**

## ქართული მხარე სერიოზულად არ მიიჩნევს

**ქართული მხარე ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ ე.წ. საზღრების ბოძებით შემოღობვას სერიოზულად არ აღიქვამს**

**ქართული მხარე ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ ე.წ. საზღრების ბოძებით შემოღობვას სერიოზულად არ აღიქვამს.**

**– ოსი სეპარატისტების მიერ ბოძებით ტერიტორების მონიშვნას პროვოკაციადაც კი აღარ აღვიქვამთ, ეს უბრალოდ არასერიოზულია. საქართველოში შიდა საზღვრები არსდროს ყოფილა და არც არსადროს იარსებებს. სამწუხარო რეალობა კი ისაა, რომ ამ დროისთვის ქვეყანაში გვაქვს ტერიტორიები, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, – განაცხადა ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.**

**მისივე განცხადებით, სეპარატისტების ე.წ. საზღვრებს სამართლებრივად აღიარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არასდროს უწერია.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

განსჯა

# „ჩვენ უნდა დავაჭიროთ და არა წაშლის

„სავსებით გაპარტახდა და ძირფესვიანად ამოვარდა სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი აგრიკოლა მის უმთავრეს და უსაყვარლეს კულტურულ საქმიანობას – მიწათმეურნეობას ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და იხიზნებოდა, გარბოდა თითქმის ყველა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.



ძირფესვიანად შერყეული იყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთისა ღალატად დასხმა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დადგება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი", არსად „სამართალი არად იყოლა"... გორამდე აღწევდა ოვსთა აზრაგული თარეში.

ასეთი იყო საქართველო XIV საუკუნის კვირაძალს – დაშლილ-დაწიწკნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად".

არ იფიქრო ძვირფასო მკითხველო, რომ ისტორიულ-ლიტერატურული სტილის შემოტანას ვცდილობდე ჩემს წერილებში.

არა და არა. ის ტექსტი, რომელიც წერილის დასაწყისში შემოგთავაზეთ, ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიდან" ამოვიწერე.

სავალალოა, მაგრამ ასეთი იყო საქართველო XIV საუკუნის კვირაძალს და ასეთია XXI-ე საუკუნის დასაწყისში. დიახ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, გაგიკვირდება, მაგრამ ფაქტობრივად არაფერი არ შეცვლილა ამ ბოლო შვიდი საუკუნის განმავლობაში.

არა, შეცვლით როგორ არ შეიცვალა. ბევრ რამეში „ვუსწრებთ" XIV საუკუნის საქართველოს. ძალიან ბევრ რამეში.

მაგალითად: თუ იმ დროს თბილისიდან ბათუმში ჩასვლას რამდენიმე დღე სჭირდებოდა, დღეს 2 საათსა და 30 წუთში ჩავალთ. თუ მაშინ ევროპელი ინვესტორები ერიდებოდნენ საქართველოში ჩამოსვლას, ახლა ჩვენი ქვეყანა მათთვის „ოაზისადაა" ქცეული. თუ მაშინ მონგოლი ბასკაკები პირდაპირ კრებდნენ ხარკს ქართველებისგან, დღეს თავისუფლად შეგვიძლია, რომ მათს შთამომავლებს, ბანკების მეშვეობით ჩავურიცხოთ მათგანვე დაწესებული გადასახადები (რაც შეეხება ტყით სარგებლობას, აქ მაინცადამაინც ვერ წავიწიეთ წინ. როგორც მაშინ გვიშლიდნენ აღმოსავლეთიდან მოსული „ვიწროთვალიანები" ტყეში შეშის მოჭრას, თუ სოკოს შეგროვებას, დღესაც ანალოგიურად გვიშლიანძ.

ეს ყველაფერი კი იმ „დიდი და ჭკვიანური" საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რასაც ჩვენი „რადიკალურ-პატრიოტულად" განწყობილი ხელისუფლება აწარმოებს.

ამ წერილში ნამდვილად არ ვაპირებ ეკონომიკაზე საუბარს, რადგანაც ეს თემა საკმაოდ სერიოზულ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როგორც ასეთი, „ქართული ეკონომიკა" არ არსებობს (არადა მართლა ძალიან მაინტერესებს, თუ რისი და რომელი ქვეყნის მინისტრია ბატონი ზურაბ პოლოლიკაშვილი.

დღეს მინდა ძალიან მოკლედ ვისაუბრო იმ საგარეო პოლიტიკაზე, რომელსაც ასე სწორხაზოვნად, ანუ „არადიპლომატიურად" აწარმოებს ჩვენი ხელისუფლება და „თხლად" შევეხო იმ ნაბიჯებს, რომლის გადადგმასაც ცდილობენ ჩვენი ოპოზიციონერები.

ბევრი კვლევა და დღეს მომრავლებულ, სხვადასხვა ჯურის ექსპერტებთან კონსულტაციები არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ქართული სახელმწიფოს განვითარება და, უხეშად რომ ვთქვა, ყოფნა-არყოფნა, დამოკიდებულია ჩვენს რეგიონში ორი ზესახელმწიფოს, რუსეთისა და ამერიკის ინტერესების თანხვედრა-განსხვავებაზე. დამოკიდებულია, თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ჩვენ არა ვართ ცენტრალური აფრიკის რომელიღაც ქვეყანა, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ „იმქვეყნოლოგებმა" რომ იციან და რომელიც მათ გარდა არავის არ აინტერესებს.

ამის გამო ყოვლად დაუშვებელია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დაუშვებელია იმაზე საუბარი – რუსეთი თუ ამერიკა.

დაუშვებელია იმიტომ, რომ არც რუსეთია დედა, არც ამერიკა მამა და არც ჩვენ ვართ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ხოლო ისინი, ვინც მსგავს კითხვას სვამენ, სულაც არ არიან ევროკავშირის, ან ნატოს წარმომადგენლები (კორექტულობის გამო, არ ვიტყვი, რომ მსგავსი კითხვების დასმა სისულელეაძ.

მოსაზრება



***ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, პუტინმა კოკოითს ტირძნისელი მოზარდები გაათავისუფლებინა. ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ კი გაჩნდა მოლოდინი, რომ მისი რეიტინგის ასამაღლებლად პუტინი ქართველ ხალხს უფრო დიდ „სიურპრიზს“ შესთავაზებდა.***

***რამდენად მოსალოდნელია მსგავსი რამ და რეალურად ბურჯანაძემ რა შეიძლება მიიღოს რუსეთში ვიზიტით? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ საერთაშორისო საკითხების ექსპერტს ნიკა ჩიტაძეს ესაუბრა.***

# „შესაძლოა, პუტინმა ბურჯანაძის რეიტინგის ასაწევად ემბარგო მოხსნას და სავიზო რეჟიმი გაამარტივოს“

**— ნინო ბურჯანაძისთვის, ალბათ, თავიდანვე კარგად იყო ცნობილი, რომ პუტინთან მოლაპარაკებების დაწყებით იმიჯს შეილახავდა. თქვენი აზრით, რეალურად რას ელის ის ამ მოლაპარაკებებისგან?**

— რა თქმა უნდა, ბურჯანაძე ის პოლიტიკოსი არ არის, შედეგებზე არ ეფიქრა. ნოღაიდელმაც და ბურჯანაძემაც იციან, რომ ამით აქამდე არსებულ ელექტორატს დაკარგავდნენ, თუმცა ეს ელექტორატი ისედაც მცირე იყო. ამიტომ მათი გათვლით, თუ ისინი ხალხს სავიზო რეჟიმის გამარტივებას და ქართულ პროდუქციაზე რუსული ემბარგოს მოხსნას დაპირდებიან, უფრო მეტ მომხრეს შეიძენენ, ვიდრე აქამდე ჰყავდათ. მათ იმის იმედი აქვთ, რომ ამით კახელი გლეხის გულს მოიგებენ, „ბორჯომის“ წარმოებაში დასაქმებული ადამიანების გულს მოიგებენ, ასევე იმ ადამიანებისაც, რომლებსაც რუსეთში ნათესავები ჰყავთ. რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, წარმოიდგინეთ მათ რამდენი ნათესავი ჰყავთ საქართველოში, რომლებიც სავიზო რეჟიმის გამარტივებით და პირდაპირი მიმოსვლის აღდგენით არიან დაინტერესებულნი?

ბურჯანაძე და ნოღაიდელიც სწორედ ამით სპეკულირებენ. ისინი ხალხს უმტკიცებენ, რომ მათ ინტერესებზე ზრუნავენ, ამ პრობლემების მოგვარება რეალურად შეუძლიათ, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ეს არ მოხდება. და თუ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება სურთ, სააკაშვილი უნდა მოიცილიონ. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაპირებას, ეს ცალკე განხილვის თემაა.



**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ გარკვეულ ელექტორატს მაინც შეიძენენ?**

— რა თქმა უნდა. ბევრი ადამიანია საქართველოში, ვისაც საკუთარი ფინანსური დაინტერესების გამო, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა სურს. ბევრი ადამიანი მინახავს, ვინც დღემდე კომუნისტურ წყობას და რუსეთს მისტირის.

**— მოსახლეობის დაახლოებით რამდენი პროცენტი შეიძლება ფიქრობდეს ასე?**

— ცოტა რთულია იმის თქმა, ამ განწყობის ადამიანები მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეადგენენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნახევარზე ნაკლები, რადგან მოსახლეობის ნახევარზე მეტი ნატოში ინტეგრაციას უჭერს მხარს. მართალია, ბოლო გამოკითხვებით იკლო ნატოს მსურველების მაჩვენებელმა, მაგრამ უმეტესობა მაინც ამ განწყობაზეა. მათ სწორედ დარჩენილი ელექტორატის გულის მოგებაზე გათვალეს. რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ საარჩევნო კამპანიისთვის რუსეთის ფულს გამოიყენებენ.

**— თქვენი აზრით, დასავლეთი როგორ აფასებს ქართული ოპოზიციის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობას?**

— აშკარაა, რომ პუტინი ცდილობს დასავლეთს დაანახოს, რომ ის ებრძვის არა საქართველოს, არამედ სააკაშვილის რეჟიმს. ის მზად არის ყველა პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლოს. გამოთქვამს შეშფოთებას იმის თაობაზე, თუ როგორ შეწუხებულია აგვისტოში მომხდარი ამბებით, მაგრამ საღად მოაზროვნე ევროპელები ხვდებიან, რომ საქართველოში პუტინს მხოლოდ დასაყრდენი სჭირდება. ვინც ტალიავინის კომისიის ერთ-ერთი გერმანელი წევრის მსგავსად აზროვნებს, ის ყოველთვის ისე იაზროვნებს, და ამით არაფერი შეიცვლება.

ყველა კარგად ხედავს, რომ რუსეთი თუ აქამდე სეპარატისტულ მთავრობებს უჭერდა მხარს, დღეს აქცენტი შეცვალა და მხარს უჭერს ისეთ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მზად არიან თავისი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედონ. ყველასთვის ნათელია, რომ პუტინის რეალური მიზანი საქართველოს დასუსტება და დაქუცმაცებაა. ამიტომ არ მგონია, დასავლეთი ამას კარგი თვალით უყურებდეს.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი პუტინმა თავისი მომხრეების რეიტინგის ასამაღლებლად, ქართულ პროდუქციაზე ემბარგო მოხსნას და სავიზო რეჟიმი გაამარტივოს?**

— ჩემი აზრით, მოსალოდნელია, მსგავსი რამ მოხდეს. სხვათა შორის, როცა სეპარატისტებს ქართველი მოზარდები ჰყავდათ დაჭერილი, ვივარაუდე, რომ ბავშვებს ნოღაიდელის მოსკოვში ჩასვლის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. მართლაც ასე მოხდა. რუსეთი შეეცადა ნოღაიდელი მშვიდობისმყოფელად წარმოეჩინა. ამიტომ გამორიცხული არ არის, რუსეთმა თავისი მომხრე ქართველი პოლიტიკოსების რეიტინგის ასაწევად სავიზო რეჟიმი გაამარტივოს და ემბარგო მოხსნას.

**— თუ მართლაც იქნება მსგავსი შემოთავაზება, როგორ გგონიათ, საქართველოს ხელისუფლება უნდა დათანხმდეს?**

— თუ რუსეთმა მსგავსი რამ მართლაც შემოგვთავაზა, ჩვენი მოქალაქეებისთვის იქნება კარგი და ეს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. რა თქმა უნდა, თუ ეროვნულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში არ მოვა.

ინფორმაცია

## სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობას ვერ ელირსები, თუ...

**სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავება კანონით აიკრძალება. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე დამუშავებული კანონპროექტის ინიცირებას პარლამენტში საშემოდგომო სესიის დროს გეგმავს.**

**— არანაირი აკრძალვა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობები დაიკავონ პირებმა, რომლებიც იმავდროულად არიან საქართველოს მოქალაქეებიც და სხვა ქვეყნის მოქალაქეები, არ არსებობს. თუ პროექტის ეს ნაწილი ამ რედაქციით გავიდა, როგორც წინასწარ ვარიანტშია, მაშინ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ ამ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლება. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეობის გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, ამ თანამდებობას ვერ დაიკავებენ“, — აცხადებს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი თენგიზ შარმანაშვილი.**

## მინიმალური ასაკი გაიზარდა

**მოსამართლედ არჩევისთვის საჭირო მინიმალური ასაკი გაიზარდა. ახალი საკონსტიტუციო პროექტის მიხედვით, მოსამართლე შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 30 წლიდან. პროექტის მიღებამდე მინიმალური ასაკი 28 წელი იყო.**

**დღეს მოქმედი კანონით, სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლიდან. პროექტის ამოქმედების შემდეგ კი ეს ასაკი 35 წლამდე გაიზრდება. პროექტის მიღებისა და ამოქმედების თარიღები ჯერ უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საკონსტიტუციო კომისია პროექტს პარლამენტს საშემოდგომო სესიაზე წარუდგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# ხელი გადატვირთვის ღილაკს“



საგარეო ურთიერთობებში იმ მძიმე კრიზისის ფონზე, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ხელისუფლების მიერ ატეხილი ისტერია, რომ რადგანაც რუსეთი ოკუპანტია, მას არ უნდა ველაპარაკოთ (არ უნდა ველაპარაკოთ კი არა, თურმე რუსული წიგნებიც არ უნდა ვიკითხოთ და არც რუსულ მუსიკას არ უნდა ვუსმინოთ და საერთოდ, ვინც რუსეთში ჩადის, ყველა სამშობლოს მოღალატეა), რბილად რომ ვთქვა დიპლომატიაში სრული არაკომპეტენტურობაა და უფრო პარანოიდული ფორმა აქვს, ვიდრე პატრიოტული (ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ხარისხის პატრიოტები არიან გოკა გაბაშვილი, თემურ იაკობაშვილი ან ნინო კალანდაძე).

ისიც კარგად ვიცით, რომ უკან დასახევი გზები რომ ჩახერგო და რუბიკონი რომ გადალახო, ან დავით აღმაშენებელი უნდა იყო და ან იულიუს კეისარი.

ეს ყველაფერი ვიცით, რადგანაც არსებობს დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი აქსიომა: ძლიერს უნდა ელაპარაკო (თუკი დაგელაპარაკა, რასაკვირველია).

ჩვენი ხელისუფლების ძალად პატრიოტმა წარმომადგენლებმა, ალბათ, იციან ეს აქსიომა (იმაში, რომ რაღაცები წაუკითხავთ, ნამდვილად არ მეპარება ეჭვი), მაგრამ ცხოვრების ის წესი, რომლის ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებაც მათ სურთ, ის, როგორ ქვეყნადაც უნდათ, რომ საქართველო აქციონ, ყოველგვარი „ხვლიკის სისხლწასმული სათვალის“ გარეშე გვაჩვენებს, რომ ისინი რადიკალ-პატრიოტის ნიღაბს იმისთვის უფრო ირგებენ, რომ თავიანთი ანტიქართული საქმეები აკეთონ.

რა მაგის პასუხია და ამ „პატრიოტებს“ ერთი კითხვა მინდა დავუსვა: თუ ასეთი შეურიგებლები ბრძანდებით, რატომ გაიხსნა ლარსის სასაზღვრო პუნქტი? რა, მოძმე სომხეთის გულისთვის „აგიჩუყდათ“ გული, თუ ამ „ტრასაზე“ გამავალ ტვირთებთან დაკავშირებით, რომელიმე თქვენგანის ბიზნესინტერესების შესახებ გავიგებთ მალე?

იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენ გვსურს, რომ ევროკავშირი ან ნატო დაგვეხმაროს, არავინ არ დაგვეხმარება.

არ დაგვეხმარება, რადგანაც მათ, რბილად რომ ვთქვა, არ უყვართ მკვეთრი, რადიკალური განცხადებები. არ უყვართ, რადგანაც „შეშფოთება“ და ამ „შეშფოთებასთან“ მიმართებაში, სხვადასხვა სახის „რეზოლუციების“ მიღება, დასავლური პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ღერძია. მათი „მონაპოვარი“ საერთაშორისო ურთიერთობებში „დიალოგი“, კონსენსუსი და სხვადასხვა დათმობის ხარჯზე, „ოქროს შუალედის“ პოვნაა.

ასეთ დროს ნოღაიდელისა და ბურჯანაძის ვიზიტები რუსეთის დედაქალაქში, მათი შეხვედრები „საქართველოს №1 მტერთან“ ვლადიმერ პუტინთან, უდაოდ საჭირო და მართლაც პრაგმატული ნაბიჯია.

მე არ განვიხილავ ამ შეხვედრების შედეგებს, რადგანაც მათზე საუბარი ჯერ ადრეა. ადრეა, მაგრამ საქართველოსა და რუსეთის დღევანდელი ურთიერთობების ფონზე კი სწორედ პრაგმატიზმია ერთადერთი გამოსავალი.

პრინციპში „კურიერებში“ უკვე „ყველა ბრუნვაში ატრიალებენ“ მოსკოვში ნამყოფებსაც და წასვლის მსურველებსაც (ისე რამდენს ნდომებია „სადოვაიაზე“ გასეირნება და მავზოლეუმის დათვალიერება, გაგიკვირდება პირდაპირ. ისე, მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მიკვირს. მარტის თვეა ახლა, ჰოდა მარტში მამაკაცებისთვის მოსკოვი ყველაზე მიმზიდველი ქალაქი იყო ყოველთვის).

ნათელაშვილმა თავად გაგზავნა წერილი მოსკოვში „დამპატიჟეთო“, მაგრამ ჯერ არავინ გამოხმაურებია! ძიძიგურს არ გაუგზავნია (რომც გაგზავნოს, რა?) აი, ალასანიას კი მოუვიდა მოწვევა, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებს.

ძვირფასო მკითხველო, მაპატიე ასეთი შედარებისთვის, არ დამცინო, მაგრამ გიორგი ბრწყინვალე მიდიოდა ურდოში და ჩობან ნოინს (იქაურ პრემიერ-მინისტრს) ემეგობრებოდა. მეფე ერეკლე და თეიმურაზიც ჩადიოდნენ ნადირ შაჰთან და ძალიან ბევრ საკითხებს აგვარებდნენ თავიანთი სამშობლოსთვის, გურჯმა ხათუნმა, რომელიც თურქეთის სულთნის ელჩი იყო, ირანსა და ოსმალეთს შორის ომი შეწყვიტა.

წერილი კი მინდა დავამთავრო უაღრესად გამორჩეული პოლიტიკოსის, ერთ-ერთი თვალსაჩინო დიპლომატის, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის სიტყვებით, მან შარშან ოქტომბერში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვიზიტის შემდეგ, რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში რომ თქვა: **„ჩვენ გვინდა დავაჭიროთ გადატვირთვის და არა წაშლის ღილაკს“.**

ჩვენ კი, ქართველებმა აუცილებლად **„უნდა დავაჭიროთ ხელი გადატვირთვის ღილაკს“.**

**გია გაბრიჭიძე**

№ 43. სამშაბათი, 9 მარტი, 2010 წელი.

ინტერვიუ



# „ხელისუფლება ისე უნდა შევცვალოთ, რომ ამან უარესი შედეგი არ მოიტანოს“

## ასე სწამს „საქართველოს გზის“ ლიდერს სალომე ზურაბიშვილს

**– ყველაზე აქტუალური სადღეისოდ მაისის არჩევნების თემაა. რა გეგმები გაქვთ არჩევნებთან დაკავშირებით?**

– როგორც პოლიტიკურად, ისე ჩვენი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ გადამიწყვეტია, მიიღებს თუ არა ჩემი პარტია ამ არჩევნებში მონაწილეობას. ეს მეეჭვება და ამაზე ჯერ კიდევ ვფიქრობ.

**– უკვე დასახელებულია თბილისის მერობის რამდენიმე კანდიდატი. სახელისუფლებო და ცალკეული ოპოზიციური ძალები მერობის კანდიდატთა განსხვავებულ რეიტინგებს აქვეყნებენ, თუმცა ოპოზიციონერების მონაცემებითაც კი, სადღეისოდ გიგი უგულავა ლიდერობს. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ რეიტინგების შესახებ? რით შეიძლება, აიხსნას უგულავას წამყვანი პოზიციები?**

– არ ვიცი, რას ეძახიან ამ შემთხვევაში „რეიტინგულს“. ერთადერთი, რაც შეიძლება, ითქვას, არის ის, რომ გიგი უგულავა უკვე მე-6 თვეა, წინასაარჩევნო კამპანიაში სახელისუფლებო რესურსებითაა ჩართული. აქ საუბარია არა უგულავას რეიტინგულობაზე, არამედ იმაზე, რომ მან ყველაზე მეტი ფული დახარჯა. მერიის ბიუჯეტი და მთელი ქვეყნის ბოლო რესურსები უგულავას კანდიდატურაზე იხარჯება. თქვენ თუ იმას მეკითხებით, რომ ჩვენ არათანაბარ ბრძოლაში შევდივართ, ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული და არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ არათანაბარ ბრძოლაში არ უნდა ჩავერთოთ.

**– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად ოპოზიციური ერთობის შექმნისა და ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო ძალებით გალაშქრების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ოპოზიციური ერთობისა და მერის არჩევნებზე ერთობლივი კანდიდატის წარდგენის იდეის განხორციელება და რა შეიძლება, უშლიდეს ამას ხელს?**

– მე არასდროს ვთვლიდი, რომ ერთიანობა თვითმიზანია, იგი ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა და არა ერთადერთი. ზოგჯერ ერთიანობაში იმდენი სირთულე დევს, რომ სჯობს, ერთიანობას არ ვეძებდეთ და სხვა გზით ვიაროთ. თუ ერთიანობა ნიშნავს იმას, რომ პრინციპებს უნდა გადავაბიჯოთ, ან ამ ერთიანობაში არასანდო ადამიანები შემოვიდნენ, ასეთ შემთხვევაში ერთიანობა უხარისხოა.

**– „არასანდო ადამიანებში“ ვის გულისხმობთ?**

– არავის ვგულისხმობ, ზოგადად ვსაუბრობ. ერთიანობა ერთიან სტრატეგიას, საერთო პრინციპებსა და ღირებულებებს, ბრძოლის ერთიან მეთოდებს უნდა გულისხმობდეს. ყოველივე ამის გარეშე ერთიანობა ჩემთვის ღირებული არ არის.

**– დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილად და შესაძლებლად მიგაჩნიათ ერთიანობის მიღწევა?**

– არც დღეს და არც სხვა დროს არ მჭირდება ერთიანობა იმათთან, ვისაც გამოცხადებული აქვს, რომ სხვა გზით მიდის. ასეთ ერთიანობაში არ შევალ. ხელისუფლება ისე უნდა შევცვალოთ, რომ ამან უარესი შედეგი არ მოიტანოს. ეს არის გზა, რომელსაც მე ვადგავარ და მეგონა, რომ ამ გზაზე ვიდექით ყველანი, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათი გზა მოსკოვზე, „ხელებისა და ფეხების მტვრევაზე“ გადის, ეს კი ჩემი გზა არ არის.

**– არ არის გამორიცხული, მერობისთვის ლევან გაჩეჩილაძემაც იბრძოლოს. თქვენთვის რამდენად მისაღები კანდიდატია გაჩეჩილაძე და კონკრეტულად რომელი ძალები შეიძლება გაერთიანდნენ მის ირგვლივ?**

– მე უკვე მყავს მერობის კანდიდატი და ის ირაკლი ალასანიაა, რომელსაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს. აქედან გამომდინარე, სხვა კანდიდატის აუცილებლობას ვერ ვხედავ. თუკი იძახი, რომ ერთიანობა აუცილებელია და უკვე არსებობს კანდიდატი, რომელიც მთავარ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რატომღა ვეძებთ სხვა კანდიდატებს, რომლებიც ამდენი ხანი არ გამოჩენილან?!

ამასთან, მინდა კიდევ ერთხელ გავამახვილო თქვენი ყურადღება ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც, ჩემი შეფასებით, ქართულ პოლიტიკაში და ოპოზიციაში რუსული ფაქტორის შემოყვანის მცდელობა იყო. პრაიმერის ჯგუფის ამ შეხვედრის მიზანს მერობის საერთო კანდიდატის გამოვლენა და ამ პროცესში ნოღაიდელის ჩართვა წარმოადგენდა. ნოღაიდელი მოსკოვში წავიდა, როგორც მარგინალი და დაბრუნდა, როგორც ფსევდოცენტრალური ფიგურა. ეს ფიგურა წინა პლანზე ნაწილობრივ სწორედ ჭადრაკის სასახლის შეხვედრის ორგანიზატორებმა წამოსწიეს, ნაწილობრივ კი – ხელისუფლებამ, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ამისთვის. სწორედ ეს იყო ჩემთვის ყველაზე მიუღებელი, თორემ წავა თუ არა ნოღაიდელი მოსკოვში, თავისი საქმეა. პირადად მე ვთვლი, რომ ეს ნაბიჯი გაუმართლებელია, შეცდომაა და მიუღებელია როგორც პოლიტიკურად, ასევე მორალურად, ამიტომ ოპოზიციაში მათთან ერთად აღარასოდეს ვიქნები. ამასთან, მინდა, ვთქვა, რომ მოღალატეობაზე არ ვსაუბრობ, ვსაუბრობ ნაბიჯებზე, რომლებიც ჩემთვის მორალურად მიუღებელია, თორემ მოღალატე რომ იყო, რაღაც უნდა შეგეძლოს.

არსებობენ სხვა კანდიდატებიც, რომლებიც ოპოზიციის ერთიანობის ხელის შეშლის მიზნით არიან შექმნილები. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს მერობის კიდევ ერთ კანდიდატზე – ნიკა ივანიშვილზე, რომლის პლაკატებმა ქალაქი უკვე ააჭრელა. როგორც ვიცი, წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაწყებული არ არის და არც პლაკატების გაკვრის ნებართვაა გაცემული. აქედან გამომდინარე, ივანიშვილთან დაკავშირებით კითხვები უკვე გაჩნდა. ყველამ კარგად ვიცით, რამდენად ძნელია არჩევნებისას ქალაქში პლაკატების გაკვრა, ამიტომ მაინტერესებს, როგორ მოხდა, ამ ვითომცდა დამოუკიდებელ კანდიდატს ასეთი უფლება რომ მიეცა?!

**– ამ არჩევნებზე ღია მხარდაჭერა მერობის კანდიდატ ირაკლი ალასანიას გამოუცხადეთ. თუ ვრცელდება ეს მხარდაჭერა ალასანიაზე, როგორც ზოგადად პოლიტიკოსზე და არა მარტო მერობის კანდიდატზე?**

– მე მის კანდიდატურას ვუჭერ მხარს. ვთვლი, რომ მას მერობის კანდიდატისთვის ყველა მონაცემი აქვს. სადღეისოდ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში და ამ არჩევნებისთვის ჩემთვის ალასანია ყველაზე მისაღები კანდიდატია. ალასანია ჩემს მოთხოვნებს რეალურად აკმაყოფილებს და არანაირი ბელადის შექმნას მე მისგან არ ვცდილობ. მე მისი იმედი მაქვს და ამ ბრძოლაში მხარს ვუჭერ, სადაც დავჭირდები და რაშიც დავჭირდები, მხარდაჭერას გამოვუცხადებ და გვერდში დავუდგები.

**– როგორ შეაფასებდით ალასანიას ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს, რომელმაც პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია?**

– მისი ქმედებები, ალბათ, პოლიტიკურად გაუთვალისწინებელი იყო, თუმცა არ ვთვლი, რომ ამ ნაბიჯებით მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვლება. ერთი ნაბიჯით რომ მთავრდებოდეს ადამიანის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულება, მაშინ სააკაშვილი დღეს საერთოდ აღარ უნდა არსებობდეს ქართულ პოლიტიკაში. ეს იყო პატარა შეცდომა, რომლის კორექტირებაც ძალიან მალე მოხდა, ამიტომ ამას ტრაგიკულად არ აღვიქვამ. არ გამოვიდა მცდელობა, რომ ოპოზიცია მთლიანად ჩათრეულიყო ნოღაიდელის სქემაში და ჩვენ მალე ვნახავთ, რომ ნოღაიდელი საერთოდ გაქრება ქართული პოლიტიკური სცენიდან, რადგან ის აღარავის სჭირდება.

**– არც ე.წ. პრაიმერისტებს სჭირდებათ?**

– არ ვიცი, ეს მათ ჰკითხეთ, მაგრამ ქართულ პოლიტიკას ის ნამდვილად არ სჭირდება.

**– რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება. რა დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ და რა შეიცვლება თქვენს ურთიერთობებში ბურჯანაძის მოსკოვური ვოიაჟის შემდეგ?**

– ჩვენ ვთანამშრომლობდით 9 აპრილის პერიოდში. ახლა, ნოღაიდელის მსგავსად, ბურჯანაძემაც გადადგა ნაბიჯი, რომელიც ჩემთვის მორალურად მიუღებელია და ვთვლი, რომ შეცდომაა. რაც შეეხება ურთიერთობებში ცვლილებებს, მე მასთან არანაირი განსაკუთრებული ურთიერთობა არ მქონია, რომ რაიმე შეიცვალოს. მის ვიზიტთან დაკავშირებით კი კომენტარს მას შემდეგ გავაკეთებ, რაც ვიზიტის დეტალები გახდება ცნობილი.

**– კულუარულად გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ უგულავას რეიტინგის სიმაღლით შეშფოთებულმა ხელისუფლებამ, კერძოდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ძალოვანი მინისტრების გუნდმა შესაძლოა, მისი კანდიდატურა დღის წესრიგიდან მოხსნან. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მოვლენათა ამ სცენარით განვითარება?**

– აშკარაა, რომ სულ უფრო მცირდება უგულავას ყოველდღიური სატელევიზიო გამოსვლები. ისიც ნათელი იყო, რომ უგულავა ძლიერდებოდა თუნდაც სააკაშვილთან მიმართებაში. ვიცი პრეზიდენტის ხასიათი და თავისუფლად შემიძლია, ვთქვა, რომ ეს მისთვის ძალიან მტკივნეულია: იგი არა მხოლოდ პირველი, არამედ ერთადერთი უნდა იყოს და ვინმეს გაძლიერება მისთვის, ალბათ, ძალიან მიუღებელია. ხელისუფლებაში არსებული დაძაბულობისა და დაპირისპირების ხმები, ერთი მხრივ, დაკავშირებულია სააკაშვილის ხასიათთან და, მეორე მხრივ, იმასთან, რომ ეს რეჟიმი თავისთავად დასასრულისკენ მიდის. ბოლო პერიოდში შიდა დაძაბულობა მუდმივად შეინიშნება: ყველა თავის გადარჩენას ცდილობს და ფიქრობს იმაზე, რა იქნება მიშას შემდეგ. დღეს უგულავა უფრო გვერდზეა გაწეული, ვიდრე ადრე იყო, სააკაშვილი კი წინა პლანს დაუბრუნდა და უფრო ხშირად ჩნდება.

**მინდია აფციაური,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

„პოლიტიკური ნება“

# სხედან კონსტიტუციონალისტები და კონსტიტუციას წერენ

**სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინათ მიიღეს კონსტიტუცია, მაგრამ ახლა კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა შევიტანოთ, რადგან ქვეყნის დემოკრატიზაციაში ის კონსტიტუცია მთავარი ხელისშემშლელიაო.**

თხუთმეტიოდე წლის წინათ, ჯაბა იოსელიანმა კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებები რომ ჩაიკითხა, წამოიძახა: „ეს პრეზიდენტი კი არა, დალაი ლამა არისო“.

პრეზიდენტის იმ უფლებებს ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის მხარდაჭერით და დასავლეთის დასტურით, კიდევ დაუმატა უფლებები განუსაზღვრელი ოდენობით, რის გამოც მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს.

რამდენიმე კვირის წინათ სტუმრად ჩამოსულმა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ბატონმა ბუკიკიომ ქვეყნის პრეზიდენტს გაახსენა მის მიერ 2004 წელს გაკეთებული განცხადება მთელი ძალაუფლების ხელში აღების თაობაზე; ახლა მოვიდა დრო, რომ ძალაუფლება სხვებსაც გაუნაწილოო.

თურმე მაშინ არ იყო აუცილებელი ძალაუფლების გადანაწილება. გამოდის, რომ ქვეყანაში ავტორიტარული ხელისუფლების დამკვიდრებაში დასავლეთელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების როლი ძალიან დიდია. გამოდის, რომ პროდასავლური პოლიტიკოსების მისწრაფების საგანი დასავლეთის ფასეულობები კი არა, ძალაუფლებისკენ ლტოლვა და დიდი ფულის მოხვეჭა ყოფილა.

ბატონი კახა კუკავა ბრძანებს: „როცა პრო... ხარ, არა აქვს მნიშვნელობა პროევროპული, პრორუსული თუ პროამერიკული ხარ. უბრალოდ ხარ პრო... და წერტილი“.

დაუკრეფავში ბატონმა კახა კუკავამ გადაგვაგდო, თორემ წერილი კონსტიტუციონალისტებზე და იმაზეა, რასაც ისინი წერენ.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ მას პარლამენტში განიხილავენ და უმრავლესობა კონსტიტუციას მიიღებს. თუ ვინმეს სურს, რომ კონსტიტუცია საყოველთაო განხილვის საგანი გახდეს, მათ სურვილს ახდენა არ უწერია. ასეთი რამ იმ „ავადსახსენებელ“ დროში ხდებოდა „და რაც მივიღეთ კარგად ვხედავთ“.

აქვს კი იმას მნიშვნელობა, თუ რა ჩაიწერება კონსტიტუციაში?

ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის მეორე თუ მესამე დღეს თანამდებობიდან გაანთავისუფლა გენერალური პროკურორი (თუ არ ვცდები – გაბრიჭიძე). ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რატომ არ დააპატიმრა მან ბატონი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მანამდე ბევრი კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა უპასუხა: „არ იყო პოლიტიკური ნება“.

გენერალურ პროკურორს, რომელიც ვალდებული იყო მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები, თურმე დამატებით სჭირდებოდა „პოლიტიკური ნება“. ასეთი ადამიანებისთვის მნიშვნელობა არა აქვს რა ჩაიწერება დღეს კონსტიტუციაში.

როცა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში „ეროვნულები“ მოვიდნენ, მათ საქმიანობა იმით დაიწყეს, რომ კოლმეურნეობები გააუქმეს. ჩვენს პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, ინტელიგენციას დღესაც არა აქვს გაცნობიერებული, თუ რა სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს „ეროვნულებმა“ ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ქვეყნის უზრუნველყოფას სასოფლო პროდუქტით, როგორ შელახეს მათ სოფლად მცხოვრებთა უფლებები, როგორ დაიგეგმა შიმშილობა და ძარცვა ქვეყანაში. ჰქონდათ მათ ამის უფლება, ან რწმუნება ამომრჩევლებისგან? როგორც ცნობილია, კოლმეურნეობებს საკუთრების საკუთარი ფორმა ჰქონდათ



და არსებობდნენ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. ხალხმა აირჩია ქვეყნის უზენაესი საბჭო, შემდეგ პრეზიდენტი და არა მეფე ან მარჩენალი.

უამრავი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

ანალოგიურად ვითარდება მოვლენები დღეს. ამის ნათელი დადასტურებაა შექმნილი მდგომარეობა თვითმმართველობაში.

ასეთ ვითარებაში რა შეუძლიათ ჩაწერონ კონსტიტუციაში კონსტიტუციონალისტებმა? ისინი „ის კაცები არ არიან“, რომლებიც კონსტიტუციაში ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთოს ჩაწერენ. ისინი „ის კაცები არიან“, რომლებიც დასავლეთელი ექსპერტების მითითებით რომელიმე ქვეყნის კონსტიტუციიდან მუხლებს გადმოიწერენ.

...იმ „ავადსახსენებელ“ დროში პოლიტიკურ ინსტიტუტში დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორიას გვასწავლიდა ყველასგან პატივცემული პროფესორი ალიოშა კაკუშაძე. გამოცდებზე ბევრი სტუდენტი ახერხებდა აუდიტორიაში წინასწარ შეტანილი წიგნებიდან საკითხების გადაწერას. მაგრამ პროფესორთან მისული ბევრი სტუდენტი უხმოდ ჩააჩერდებოდა მის მიერ გადაწერილ მათემატიკურ ფორმულებს. ასეთ შემთხვევაში ბატონი ალიოშა აუცილებლად დანანებით ეტყოდა სტუდენტს, ბიძიკო, შენ ის საგანი, ალბათ, გადაწერით გეგონა ჩასაბარებელი, ამ საგნის ჩასაბარებლად ცოდნაა საჭირო და სტუდენტს გაათავისუფლებდა მეტად უხერხული მდგომარეობიდან.

რას წარმოიდგენდა პატივცემული პროფესორი თუ დადგებოდა დრო, როცა რომელიღაც მასალაში დეფორმაციების მათემატიკური ინტერპრეტაცია კი არა, თვით ქვეყნის კონსტიტუცია სივრცის, დროის, ტრადიციების, მეურნეობრიობის სრული იგნორირებით, გადაწერით იქნებოდა მიღებული.

სხედან კონსტიტუციონალისტები... თუმცა, რატომ არ უნდა ისხდნენ, როცა მათ ფულს უხდიან და ასეთია „პოლიტიკური ნება“?

**ნუგზარ კობახიძე**

## საფრთხე

# მერე გვიან იქნება...

**რუსეთის განზრახვას, რაც შეიძლება დიდი ხნით დაიმკვიდროს საქართველოში ყოფნა და განაგრძოს ქვეყნის ტერიტორიების ანექსია, უფრო თვალნათელს ხდის აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების მშენებლობის გეგმები, რომელთა განხორციელებას იგი ნელ-ნელა იწყებს. ეს თემა როგორც ქართველი, ასევე რუსეთელი, ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეებისა და მასმედიის წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული.**

— უზარმაზარი რუსეთი სულ უფრო მეტად უჭერს ხელს ერთ ციდა საქართველოს. რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც მოსკოვს საქართველოს ამ სეპარატისტული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის შექმნის შესაძლებლობას მისცემს, — წერს ფრანგული გამოცემა „ლე ფიგარო“ და დასძენს, რომ სამხედრო თანამშრომლობა, ოფიციალურად, „აფხაზეთის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვას“ გულისხმობს. შეთანხმება 49 წლის ვადით და შესაძლო გაგრძელების პირობითაა ხელმოწერილი. ამასთან, ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ **ნატომ უმალვე გამოაცხადა აღნიშნული პაქტის უკანონობა იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ალიანსის 28 წევრიდან არც ერთს არ უღიარებია.**

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ახალი „ინიციატივა“ მოსკოვის რეგიონალური სტრატეგიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ მიმართავს. **„მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მთელი რეგიონი დე ფაქტო რუსეთის კონტროლის ქვეშ მოექცა“,** — აღნიშნავენ ამერიკულ ცენტრ სტრეტფორში.

ომის დასრულების შემდეგ რუსეთი დღენიადაგ ზრდის თავის სამხედრო კონტინგენტს ამბოხებულ მხარეებში. რუსეთის სამხედრო ხომალდები განუწყვეტლივ პატრულირებენ შავ ზღვას აფხაზეთის ნაპირებთან, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთის ინიციატივით 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რუსეთი ძველებურად არ იცავს დადებულ პირობას. ნატოს ქვეყნები



ამაოდ ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ **„რუსეთის ჯარის იმ ხაზს მიღმა გადაყვანას, რომელიც საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე იყო, ასევე დამკვირვებლების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაშვებას“.**

გარდა ამისა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კრემლი ამჟამადაც ცდილობს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის რეფორმის შესახებ ახალი ხელშეკრულების „შეტენვას“ და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების მიერ მოკავშირეთა არჩევანზე ზემოქმედების უფლების მოპოვებას, რომლებსაც კვლავაც საკუთარი ზეგავლენის ზონებად მიიჩნევს. **„რეგიონის ამგვარი მილიტარიზაცია საქართველოსთვის უშუალო ხიფათს წარმოადგენს. სეპარატისტულ რესპუბლიკაში რამდენიმე ათასი რუსეთელი ჯარისკაცია. ჩვენ რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის შიში გვაქვს“,** — აცხადებს საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი.

ეს შიში კიდევ უფრო გაამძაფრა საფრანგეთის მიერ რუსეთისთვის „მისტრალის“ კლასის სამხედრო ხომალდის მიყიდვამ. პარიზმა, ნიკოლა სარკოზის სახით, მოიწონა ეს გეგმა და განაცხადა, რომ ცივი ომი დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცა და რომ რუსეთს, რომელთანაც საფრანგეთი „ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების აგებას“ აპირებს, როგორც საიმედო პარტნიორს ისე უნდა მოეპყრან.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ რუსეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა რამდენიმე დღის წინათ კვლავ დაადასტურა ფრანგული შვეულმფრენმზიდის მიმართ თავისი ინტერესი, რომელსაც ამავე დროს ჯავშანტექნიკის 12 ერთეულისა და დაახლოებით 900 ჯარისკაცის გადაყვანა შეუძლია. რუსული გაზეთის „კომერსანტის“ ცნობით, მოსკოვი მსუბუქი ჯავშანტექნიკის მიწოდების თაობაზე პარალელურ მოლაპარაკებას ასევე ფრანგულ კომპანია „რანართან“ აწარმოებს.

თუ კრემლი **„ტანკებს, ხომალდებსა და რაკეტებს მიიღებს, ჩვენ მაღალი რისკის ზონაში აღმოვჩნდებით, რადგან ეს აღჭურვილობა მას აღმოსავლეთ ევროპისა თუ დსთ-ს ნებისმიერ ქვეყანაში რამდენიმე საათში შეჭრის შესაძლებლობას მისცემს, რასაც მანამდე კვირები დასჭირდებოდა“,** — განაცხადა ლონდონში ამასწინანდელი ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

ხოლო თავისი პარიზული ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ვაშინგტონის შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის მიერ ფრანგული სადესანტო ხომალდის „მისტრალის“ შეძენა მისი ჯარის შემტევ ძალას საგრძნობლად გაზრდის.

2008 წელს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შეჩერება საფრანგეთის პრეზიდენტმა თბილისსა და მოსკოვში ვიზიტების შედეგად შეძლო. მაგრამ, **„თუკი რუსეთი ამ ხომალდებს შეიძენს, თუკი ომი კვლავ დაიწყება, მის შესაჩერებლად დრო აღარ დარჩება“,** — გაფრთხილებას იძლევა ქართული მხარე.

**ოთარ ტურაბელიძე**

## წინასაარჩევნო მარათონი

***ვერ გეტყვით, რამდენად შეძლებს ქრისტიან-დემოკრატების მიერ დედაქალაქის მერობის კანდიდატად შერჩეული გია ჭანტურია პურის ფასის განახევრებას, მაგრამ ამ ორიოდე დღის წინათ მან თბილისის მეოთხე პურის ქარხანაში სტუმრობისას ზუსტად ამ შინაარსის განცხადება რომ გააკეთა, თქვენი აზრით, ვითომ ხელისუფლებისთვის აჩემებულ ტყუილებსა და მეზღაპრეობაში გადასწრება მოიწადინა? არა მგონია, ისეთ მეურნე კაცს, როგორიც ბატონი გია გახლავთ, დაპირება-ფანტაზიორობაში მსოფლიოს ბექდაუდებელი საქართველოს პრეზიდენტისთვის გასწრების სურვილი გასჩენოდეს, მით უფრო ახლა, როცა ქვეყნის მოსახლეობას ხელისუფლების ტყუილების ხვრეპისგან კბილები უკვე დააცვდა და სულის კანკანით ელოდება გაწამებული ყოფის შესაცვლელად რაიმე რეალურის გამოჩენას.***

# ხალხს პიარპოლიტიკა ყელში ამოუვიდა

**თბილისის მერად თუ ჭანტურიას ავირჩევთ, პურის ფასი განახევრდება?!**

და აი, გია ჭანტურიას სახით არენაზე გამოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას პირობას აძლევს, რომ მისი მერად არჩევის შემთხვევაში, წყალი უფასო გახდება, გაზისა და დენის გადასახადი მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო პურის ფასი განახევრდება! რამდენად რეალურია ამ დანაპირების შესრულება, კერძოდ, პურის გაიაფება? — ამ კითხვამ თბილისის №4 პურის ქარხნის კარს მიმაყენა. საწარმოს თავკაცს, დედაქალაქის მეპურეთა კავშირის თავმჯდომარეს მალხაზ დოლიძეს უკვე ათეული წლებია ვიცნობ. ის ამ საქმეში, როგორც იტყვიან, ჭიპმოჭრილი კაცია, მის თავზე წისქვილის ქვა არ მოუკოდავთ, თორემ სხვა ყველაფერი ნანახი და გადატანილი აქვს.

თუმცა ამჯერად ყველაფერს გვერდზე ვწევთ და საუბარი ერთ საკითხზე, კონკრეტულად პურის ფასზე გადაგვაქვს, რომელიც საქართველოში, ხელისუფლების „მტკიცე დაპირებების“ მიუხედავად, პერმანენტულად იზრდება და გაღატაკებულ მოსახლეობას სულ უფრო და უფრო მძიმე ტვირთად აწვება. ამის მიზეზად რა ფაქტორებს დაასახელებდით? — ვეკითხები ქარხნის დირექტორს.

— ასეთი ფაქტორი უამრავია, — ამბობს მალხაზ დოლიძე, — მრავალ ინგრედიენტზე წარამარა იცვლება ფასები და, ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს პურის ფასზეც. ამ ბოლო პერიოდში, მაგალითად, კიდევ ერთხელ მოიმატა საფუარის, ცხიმისა და ფქვილის ფასმა, რაც გამომცხვარი პურის თვითღირებულებაშიც აისახა. ახლა, ჩემი გამოანგარიშებით, კილოგრამი პური სულ მცირე 90 თეთრი ჯდება.

**— მაგრამ მაღაზიებში პური კილოგრამობით კი არა, ცალობით იყიდება. მოგეხსენებათ, ვისაც როგორ მოეპრიანება, იმ წონის პურს აცხობს და ფასსაც საკუთარი სურვილისამებრ ადებს. სავაჭრო ობიექტებში ერთი პურის ფასი საშუალოდ ძირითადად 60-70 თეთრს შორის მერყეობს, მაგრამ არის სასიამოვნო გამონაკლისებიც — 40 და 35-თეთრიანი პურიც. ამხელა სხვაობას თქვენ როგორ ახსნით?**

— ამ სასიამოვნო გამონაკლისის ავტორთა არასასიამოვნო ქმედებით. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს დღეს რეალურად ისეთი პური, რომელსაც 40 ან 35 თეთრად გაყიდი და წაგებული არ დარჩები. ყოველ პურში მარტო გადამტანი 10 თეთრს იღებს, მაღაზიის პატრონიც — ამდენივეს. გამოდის, რომ მეპურეს, რომელიც ცალ პურს 35 თეთრად ყიდის, 15 თეთრიღა რჩება გასამრჯელო. როგორ ფიქრობთ, არსებობენ კი ისეთი უტვინოები, რომლებიც ამას არ ითვლიან?

**— თუ ითვლიან, მაშ რატომ ყიდიან ასე იაფად?**

— იმიტომ, რომ როგორმე იცხოვრონ, წყალი მოიპარონ, გაზი ბინის ხაზს მიაერთონ (მეწარმეს ერთ კუბმეტრში 75 თეთრს ახდევინებენ, მობინადრეს — 51 თეთრსძ), რათა ხარჯები ხელოვნურად შეამცირონ და რაღაც მოგება ნახონ, თუ ამას მოგება შეიძლება დავარქვათ.

**— ასეთები, ბუნებრივია, წესიერ გადამხდელებს ბაზარზე კონკურენციას გაუწევენ.**

— ეს არ არის კონკურენცია, ეს ფაქტობრივად არის არალეგალური პური, რომლის მწარმოებლები, ქვეყანაში შექმნილი მძიმე საგადასახადო ტვირთისა თუ აუტანელი ჯარიმების შიშით, იძულებული არიან უკანონო, ანუ დანაშაულებრივი ბიზნესი აკეთონ. დღეს 1 მილიონ 200-ათასიან თბილისში დღე-ღამეში საშუალოდ 300-400 ტონა პური იხარჯება, ფაქტობრივად კი აღირიცხება მხოლოდ 120 ტონა. დანარჩენი არალეგალურ ბიზნესს განეკუთვნება, იქიდან მიღებული თანხა ბიუჯეტში არ შედინება და კერძო პირთა და ჩინოვნიკთა ჯიბეში ილექება.

**— ასეთ პირობებში, რაზეც თქვენ საუბრობთ, განა შეიძლება პურის ფასმა მოიკლოს და, როგორც გია ჭანტურია აცხადებს, განახევრდეს კიდეც?**

— ასეთ პირობებში არა, მაგრამ თუ წყალი უფასო იქნება, ენერგოშემცველებზე ნორმალური ტარიფები



დაწესდება, დრაკონული საგადასახადო სისტემა ლიბერალურით შეიცვლება, სრულიად რეალურად მიმაჩნია, პურზე ფასმა მნიშვნელოვნად დაიკლოს. რა თქმა უნდა, სისულელე იქნება, რომელიმე მეწარმემ გაზი უფასოდ მოითხოვოს, მაგრამ რატომ არ შეიძლება ის ჩვენთანაც იმდენი ღირდეს, რაც, ვთქვათ, უკრაინაში? (უკრაინაში 1000 კუბური მეტრი 250 დოლარი ღირს, საქართველოში 406 დოლარი!ძ.

**— ბატონო მალხაზ, ასე დარწმუნებით რომ ლაპარაკობთ, დაანგარიშებული გაქვთ, პურის თვითღირებულებაში რომელ კომპონენტს რა პროცენტი უკავია?**

— ერთხელ კი არა, ათასჯერ გვაქვს ნაანგარიშები. აი ნახეთ (დიაგრამას მაწვდისძ, ენერგოშემცველებს და წყალს, მაგალითად, მასში 19,5 პროცენტი უჭირავს, გადასახადებს — 18, ფქვილს — 42,5, ხელფასებს — 13, პურის ტრანსპორტირებას — 4,5, მარილს, საფუარს, დამხმარე მასალებს — 2,5 პროცენტი.

**— თქვენ წუწუნებთ, გადასახადებმა და ჯარიმებმა წელში გაგვწყვიტაო, პრეზიდენტი სააკაშვილი კი ყველა თავის გამოსვლაში ტრაბახობს — მთელ მსოფლიოში ჩვენზე ლიბერალური გადასახადები არავის აქვსო. რომელს დაგიჯეროთ?**

— ფაქტზე მოგახსენებთ. კვების პროდუქტებზე, მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი 8-10 პროცენტზე მეტი არც ერთ ქვეყანაში არ არის, ჩვენთან კი 18 პროცენტია. ფქვილში ცალკე ვიხდით დღგ-ს, წყალში — ცალკე, ასეთ პირობებში რანაირად შეიძლება, პური გაიაფდეს? ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მეწარმეს კარგი სამუშაო პირობები შეუქმნას და არა გადასახადებით და ჯარიმებით აშინებდეს. მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, მინდა ჩემს საწარმოს მივხედო, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მივიღო, ბიუჯეტს თავისი წილი მივცე და მომხმარებელიც კმაყოფილი მყავდეს.

***ვერაფერს იტყვი, მართალია ეს კაცი! ხალხს პიარპოლიტიკა ყელში ამოუვიდა, მეწარმეს ხელისუფლების დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება და არა საგადასახადო ტერორი. როგორც ჩანს, მერობის კანდიდატმა გია ჭანტურიამ ცხოვრებას სწორად აუღო ალღო, როცა უფრო სამეურნეო საკითხების მოგვარებაზე გადაერთო და არა პოლიტიკაზე. პოლიტიკა არც იჭმევა და არც ისმება, მით უფრო, თუ ჩაფლავებულიც არის! ამას ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიცია ვითომ მიხვდებიან როდესმე? დღემდე მხოლოდ ერთს მიაღწიეს: ხელისუფლება სკამების შესანარჩუნებლად იბრძვის, ოპოზიცია — ლიდერის გამოსავლენად(!?).***

**ოთარ ხუციშვილი**

*რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ ინჟინერს გიორგი ჭრელაშვილს 80 წელი შეუსრულდა. გიორგი ჭრელაშვილი 1930 წლის 9 მარტს ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში დაიბადა. გიორგიმ სოფელ დიმის საშუალო სკოლა დაამთავრა, სწავლა თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც ასევე წარჩინებით დაასრულა. პარალელურად, სუბტროპიკულ ინსტიტუტში მეღვინეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. ცნობილ თამადასა და ლოტბარს მეღვინეობა მეორე პროფესიად ექცა. ის უამრავი ორდენისა და ჯილდოს მფლობელია. მისი ხელმძღვანელობით დამონტაჟდა და ამუშავდა უამრავი სამრეწველო ობიექტი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ჩაის, ლიმონათის და საკონსერვო ქარხნები, აბრეშუმის კომბინატი, ჭიათურმანგანუმი და სხვები. მოკლედ, არ დარჩენილა არც ერთი მსხვილი სამრეწველო ობიექტი, სადაც მისი დახმარებითა და მეშვეობით საინჟინრო-სამონტაჟო სამუშაოები არ განხორციელებულიყო. ბატონი გიორგი ასევე ავტორია უამრავი გამოგონებისა და სარგებლობს საავტორო უფლებებით. მათ შორის რამდენიმე მათემატიკური ფორმულის ავტორია. ცნობილ და სახელმოხვეჭილ პროფესიონალს საქმე არ აკლდა. მოსაგონებელიც ბევრი აქვს.*

# პროფესიონალი ყველა დროში საჭიროა!



**— ქუთაისის საავტომობილო ქარხანა მნიშვნელოვანი ობიექტი იყო. სამონტაჟო სამუშაოები როგორ მიმდინარეობდა?**

— ყველგან ძალიან რთული სამუშაოები ტარდებოდა და თანაც, ყველაფერი დროში მკაცრად იყო გაწერილი. მახსოვს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნაში გერმანული წარმოების 200-ტონიან წნეხს — „ერფურტს" ვამონტაჟებდით. სამონტაჟო ვადებიც ძალიან შემჭიდროებული იყო. სამონტაჟო სამუშაოების სირთულემ ახალი ტექნიკის მობილიზაცია მოითხოვა. ერთადერთი კი, რაც მაშინ გაგვაჩნდა, 30-ტონიანი ამწე იყო, რომლის საშუალებითაც წნეხის მონტაჟი ტექნიკურად შეუძლებელი საქმე გახლდათ. შევეცადე, მდგომარეობიდან გამოსავალი მეპოვა და საკუთარი ტექნიკური გათვლებით შევიმუშავე დამატებითი სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც ამწის ტვირთამწეობას მნიშვნელოვნად ზრდიდა. ასეთი რამის გაკეთება ნებადართული არ იყო, მაგრამ რისკზე წავედი. მუშების დახმარებით თავისუფალ შაბათ-კვირას ეს კონსტრუქცია შევკარით, „ერფურტის" ადგილზე მონტაჟი ვცადეთ და წარმატებით დავასრულეთ კიდეც. ორშაბათს ქარხანაში მაშინდელი ხელმძღვანელობა და მთავარი ინჟინერი დიმიტრი ქართველიშვილი მოვიდა და გაოგნებულმა აღმოაჩინა, რომ „ერფურტი" უკვე დამონტაჟებული იყო, მაგრამ ის თუ რა მანქანებითა და მეთოდით მოვახერხეთ ეს, მისთვის საიდუმლოდ დარჩა. რადგან საიდუმლოს გამხელის შემთხვევაში შესაძლოა, დაჯილდოების ნაცვლად მეც და ჩემი მუშებიც დავსჯილიყავით.

**— ეს არაორდინალურობა და ნოვატორობა მართლაც სარისკო იქნებოდა. დასჯილხართ ამის გამო?**

— კი, იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც მაღალი პარტიული მუშაკების რისხვა დავიმსახურე და სასჯელად მათ ჩემი პარტიიდან გარიცხვა მოითხოვეს. გაოცდნენ, როდესაც აღმოაჩინეს რომ ასე მნიშვნელოვანი ობიექტების ხელმძღვანელი ინჟინერი პარტიული არ ვიყავი...

**— პარტიულობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კარიერული წინსვლისთვის?**

— დიახ, მაგრამ მე ჩემი პროფესიონალიზმი მეხმარებოდა. და მხოლოდ ის იყო ჩემი წინსვლის გარანტი. პროფესიონალები ყველა დროში საჭიროა. მახსენდება ჩემი დაწინაურების ერთ-ერთი სცენაც. დასავლეთის სამონტაჟო უბნის ხელმძღვანელი მოსკოვიდან იყო დანიშნული, ვინმე მაზანოვი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნიკიტა ხრუშჩოვს. როდესაც ის წავიდა, ყველაზე რთული უბნის ხელმძღვანელობა მე გადმომაბარა და გადაწყვიტა ხელმძღვანელობისთვის ჩემი თავი თავად წარედგინა. ეს წარდგენა ოზურგეთში გაერთიანებულ თათბირზე მოხდა. ოზურგეთელებმა მაზანოვი რომ დაინახეს, სახტად დარჩნენ, რადგან იფიქრეს, რომ თვითონ ხრუშჩოვი ჩამოვიდა ოზურგეთში მათთვის ჩემს გასაცნობად.

**— იმ პერიოდს ალბათ, თავისი ღირსება და ნაკლი ჰქონდა. ბიუროკრატია საქმეში ხელს არ გიშლიდათ?**

— მახსოვს, ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში ყველაზე დიდი სადნობი ღუმლების საფილტრე მოწყობილობები დავამონტაჟეთ. ეს პროექტი იაპონელ კოლეგებთან ერთად განვახორციელეთ. სამუშაო პროცესს თავად ვხელმძღვანელობდი. ეს ობიექტი მაშინ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი ადგილობრივ და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ზესტაფონში ცენტრალური კომიტეტის და პარტიის ხელმძღვანელობა იკრიბებოდა და გაფართოებულ თათბირებს ატარებდა. ასეთი შეკრებები კვირაში ერთხელ მაინც ტარდებოდა და მაღალჩინოსნებიც ქარხანაში შავი ფერის სახელმწიფო მანქანებით მოგრიალდებოდნენ ხოლმე. იაპონელი ინჟინრები და მუშები თავდაპირველად გაოცებულები და ცოტა არ იყოს, დაძაბულები ადევნებდნენ თვალყურს ამ საგანგებო შეკრებებს, მერე მიხვდნენ რომ სიტყვა „თათბირი" სხვა არაფერი იყო თუ არა ჩვეულებრივი ბიუროკრატიული და ხშირად არაფრისმომტანი პროცედურა. და სადაც კი დაინახავდნენ შავი ფერის გაზ-24 მარკის ავტომობილებს, წვრილ თვალებს მოჭუტავდნენ და „ტატბირი, ტატბირიო" სიცილს იწყებდნენ.

**— თქვენ აფხაზეთშიც მუშაობდით. იმ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?**

— ვმუშაობდი სოხუმში და აფხაზეთში ბევრ ობიექტზე. ერთ-ერთ პრიორიტეტულ ობიექტად დაბა მიუსერას სამთავრობო კომპლექსი ითვლებოდა. მისი დროული და წარმატებით დასრულებისთვის სოხუმში ბინა მივიღე. მაშინ ჩემთან ერთი აფხაზი შემდუღებელი მუშაობდა, გვარად აიბა, რომელსაც ახლადმოყვანილი ცოლი ჰყავდა და ბინა არ გააჩნდა. ძალიან კარგი, ერთგული და საქმის მოყვარული ადამიანი იყო და მეც სოხუმის ბინა მას ვაჩუქე. რამაც ყველას გაოცება გამოიწვია. თავად აიბა, აღფრთოვანებული და ბედნიერი, ყოველ ზაფხულს სოხუმში დასასვენებლად მეპატიჟებოდა, იქამდე ვიდრე ჩვენსა და აფხაზებს შორის ეს საშინელი ტრაგედია არ დატრიალდა.

**— დღეს რას ფიქრობთ? რა პროცესები მიდის ქვეყანაში და როგორია თქვენი შეფასება ამ წლების გადასახედიდან?**

— ბევრი რამის თქმა შეიძლება. მართლაც გული მიკვდებოდა, როდესაც ჩემ მიერ აწყობილმა ობიექტებმა და დიდმა სამრეწველო ცენტრებმა ფუნქცია დაკარგა, ხოლო ამ პროფესიამ — საკუთარი საჭიროება და მნიშვნელობა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ თანდათან მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება, ფაბრიკა-ქარხნები უკვე მუშაობს. სამუშაო ადგილებიც იქმნება, ახალი ობიექტებიც აიგება და ჩვენი პროფესიაც და ის ადამიანებიც, რომელთაც ამ საქმეს მთელი ცხოვრება შესწირეს, საკუთარ ფასსა და ღირსებას დაიბრუნებს.

ესაუბრა
**თეა თარხნიშვილი**

**◎ ვითხოვ სიტყვას!**

# უკვდავვყოთ რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნა

**ამ ორი ათეული წლის წინათ (1991 წლის 2 აპრილს), გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც ჩემი დამოკიდებულება და აღშფოთება გამოვხატე იმ ცინიზმისა და შეურაცხყოფის მიმართ, როცა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის უკანასკნელმა შემადგენლობამ მიიღო სკკპ წევრებად იმ პირთა ჯგუფის აღდგენის დადგენილება, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ 1937-38 წლებში. სიაში აღმოჩნდა მამაჩემი — 1902 წელს დაბადებული დავით გრიგოლის ძე მხეიძე.**

„ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები მამაჩემის ხვედრის შესახებ, ამოვიკითხე მისი „საქმის" ტომებში, რომლებიც სუკ-ის არქივის მაშინდელმა უფროსმა, შემდეგ აფხაზეთში ქიული შარტავასთან ერთად გმირულად დაღუპულმა მამია ალასანიამ ამოატანინა თავის კაბინეტში, რომ არა მისი გულისხმიერება, მე სიმართლე უნდა მგონებოდა ის ვერსია მამაჩემის ბედისა, რომელიც უშიშროებამ აცნობა დედაჩემს მის განცხადებაზე 1955 წელს: „გადასახლება მიესაჯა 10 წლით, მიწერ-მოწერის უფლების გარეშე, გარდაიცვალა 1942 წლის 7 თებერვალს."

უშიშროების არქივში დაცული აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლითაც გაირკვა, რომ მამა 1937 წლის 29 ოქტომბერს დააპატიმრეს, იმავე წლის 22 დეკემბრით კი დათარიღებულია თანამიმდევრობით შემდეგი დოკუმენტები: 1. ოქმი გამოძიების დამთავრების შესახებ; 2. ცნობა შინსახკომის განსაკუთრებული სამეულისთვის საქმის განსახილველად გადაცემაზე; 3. სამეულის (თავმჯდომარე ქობულოვიძ განაჩენი: „დახვრეტა, პირადად მისი კუთვნილი ქონების კონფისკაციით"; 4. აქტი განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.



რა შესაშური ოპერატიულობით უმოქმედიათ!

დარწმუნებული ვიყავი რა იმაში, რომ ამ „საქმის" მონაწილე ყველა ჩეკისტს კომპარტიის ბილეთი ედო ჯიბეში, რომლის წევრადაც „აღადგინეს" მამაჩემი, თავი ვალდებულად ჩავთვალე განმეცხადებინა: „ჩვენი ოჯახისათვის სკკპ რიგებში მამაჩემის აღდგენა არის მორიგი ბოლშევიკური ფარსი და მისი ხსოვნის შეურაცხყოფა. პარტიას, რომელსაც ნახევარი საუკუნეც არ ეყო საიმისოდ, რომ დაფიქრებულიყო და გაეანალიზებინა თავისი შავბნელი საქმიანობის შედეგები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ახორციელებდა საკუთარი ხალხის გენოციდს, ვერ უშველის „ბოლო ჟამს დანანება"... მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თუ მამა ბოლშევიკური პარტიის მიერ გაწვრთნილ ჯალათებს გადაურჩებოდა, იმასვე გააკეთებდა, რასაც მე, მისი ერთადერთი მემკვიდრე მოვითხოვ დღეს — თუკი პარტიაში აღდგენა სიკვდილის შემდგომაც შეიძლება, ჩავთვალოთ იგი პარტიიდან გასულად ასევე სიკვდილის შემდგომ. მათ კი, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული რეპრესირებულთა ხსოვნასა და მათ გატანჯულ შთამომავალთა ბედზე, უმჯობესია ის გასაიდუმლოებული ადგილები მიგვანიშნონ, სადაც მათი უგვარტომოდ ჩაყრილი ძვლებია დამარხული, რათა ქრისტიანული პატივი მაინც მივაგოთ მათ წმინდა სულებს. ეგებ ღირდეს ერთ-ერთი მსხვერპლის ნეშტი პატივით დავკრძალოთ და შევქმნათ წმინდა ადგილი „ბოლშევიკთა რეპრესიების უცნობი მსხვერპლის" საფლავის სახით!"



მაშინ რეპრესირებულთა შთამომავლები დავუკავშირდით ერთმანეთს და მიზნად დავისახეთ, რეპრესიების უცნობი მსხვერპლის მემორიალური საფლავი მოგვეწყო „ვორონცოვის ხიდთან" არსებულ ბაღში, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ადრე აღმართული იყო ი. ბ. სტალინის ძეგლი. მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა, რომლებიც განვითარდა ჩვენს ქვეყანაში, შეაფერხა ჩვენი კეთილშობილური განზრახვის შესრულება.

დღეს მივმართავ საზოგადოება „მემორიალს", ყველა მათ, ვისმა ოჯახებმაც განიცადა რეპრესიების სიმწარე, დავსახოთ რეალური გეგმა და მისი განხორციელებისთვის კურთხევა ვთხოვოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს!

გფარავდეთ ღმერთი!

**ნუგზარ მხეიძე.**

საკონტაქტო ტელეფონი: 895 11-70-00

## წითელი? ყვითელი? მწვანე?

# რომელი ჩაია ყველაზე სასარგებლო?

### თეთრი ჩაი

**ჩაის ხეები, რომელთა ფოთლებსაც იყენებენ თეთრი ჩაის საწარმოებლად, ხარობენ მხოლოდ ჩინეთსა და შრი-ლანკაში. წარმოებისთვის იყენებენ ზედა ორ დაუზიანებელ ფოთოლს, რომლებსაც ოდნავ აშრობენ და ორთქლზე აყენებენ ერთ წუთამდე.**

**ფერმენტაცია – 0 პროცენტი.**

**სასარგებლო თვისებები:** თეთრ ჩაის „უკვდავების ელექსირს" უწოდებენ მისი ვიტამინებისა და მიკროელემენტების სრული შენარჩუნების გამო. თეთრი ჩაის გამოყენება ანელებს დაბერების პროცესს, თრგუნავს სიმსივნის წარმოქმნას, ამაგრებს გულ-სისხლძარღვებს, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, გვიცავს ვირუსებისა და ბაქტერიებისგან.

**მინუსები:** თეთრი ჩაის გემო ისეთი ნაზია, რომ მაგარ ჩაის შეჩვეული ხალხისთვის ის ძნელი აღსაქმელია.

**როგორ აყენებენ:** 3-5 წუთი. წყლის ტემპერატურა – 100 გრადუსი.

### მწვანე ჩაი

**მზადდება იმავე ფოთლებისგან, რისგანაც შავი ჩაი. მაგრამ ფოთლის მოკრეფის შემდეგ უმალვე აშრობენ. მინიმალური ფერმენტაცია საშუალებას იძლევა, შევინარჩუნოთ პრაქტიკულად თითქმის ყველა სასარგებლო თვისება.**



**ფერმენტაცია – 2-3 პროცენტი.**

**სასარგებლო თვისებები:** ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, კუჭნაწლავთა ფლორის სიცოცხლისუნარიანობას, აქვს ოფლსადენი თვისებები, აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობას, ხელს უშლის კარიესის წარმოქმნას, ამაღლებს კაპილარების სიმკვირვეს, ხელს უწყობს ასკორბინის მჟავის ათვისებას.

**მინუსები:** შეიცავს ბევრ კოფეინს. გამოსადეგია მხოლოდ დილისა და შუადღის ჩაის სმის დროს.

**როგორ აყენებენ:** 5-7 წუთი. წყლის ტემპერატურა – 60-90 გრადუსი.

### ყვითელი ჩაი

**ჩაის ამ სახეობისთვის კრეფენ მხოლოდ კვირტებს, რომლებსაც ორთქლზე აჩერებენ, შემდეგ ახვევენ ნაჭერში ან სპეციალურ ქაღალდში, სადაც ჩაი შრება და ხდება მისი ფერმენტირება.**

**ფერმენტაცია – 10 პროცენტი.**

**სასარგებლო თვისებები:** ემსგავსება მწვანე ჩაის – აწესრიგებს წნევას, გულის მუშაობას, ააქტიურებს გონებრივ საქმიანობას.

**მინუსები:** განეკუთვნება ელიტურ ჩაის – ერთ-ერთი ყველაზე ძვირი სახეობაა.

**როგორ აყენებენ:** 3 წუთი.

### წითელი ჩაი (ოოლონგი)

**ჩაის ფოთოლს კრეფენ ჩაის ბუჩქებიდან სრული მწიფობის დროს და ორჯერ აშრობენ, სანამ ფოთლები წაბლისფერს ან მოწითალო-მურა ელფერს არ მიიღებს.**

**ფერმენტაცია – 40-50 პროცენტი.**

**სასარგებლო თვისებები:** ანელებს კანის დაბერების პროცესს, ამაგრებს იმუნურ თვისებებს, დაბლა სწევს არტერიულ წნევას და სისხლში ქოლესტერინის შემცველობას.

**მინუსები:** ყველაზე სპეციფიური ხარისხის ჩაია. ძლიერი, მკვეთრი არომატი, მწკლარტე გემო, ნაყენის ლალისფერის შეფასება ყველას არ ძალუძს.

### შავი ჩაი

**ფოთლებს კრეფენ ჩაის ზრდასრული ბუჩქებიდან. დამუშავების პროცესი მოიცავს ღნობას, დაგრეხვას, გაშრობას და სრულ ფერმენტაციას.**

**ფერმენტაციის ხარისხი –100 პროცენტი.**

**სასარგებლო თვისებები:** ნივთიერება ტფ-2-ის წყალობით, რომელიც ბლოკავს კიბოს უჯრედების განვითარებას, ამცირებს კუჭის, კუჭ-ნაწლავისა და მკერდის ონკოლოგიურ დაავადებათა რისკს. აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას, ანადგურებს მიკრობებს, რომლებიც იწვევენ დიარეას, პნევმონიას, ცისტიტს და ჰერპესს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას.

**მინუსები:** დღეში 4 ფინჯანზე მეტი არ უნდა დალიოთ, აგრეთვე 18.00-ის შემდეგ. კოფეინისა და არომატული ნივთიერებების მაღალმა შემცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ნერვული სისტემის ზედმეტი გაღიზიანება და უძილობა.

### ვირჩევთ ჩაის გეოგრაფიული ნიშნით

**საერთო წესი:** რაც უფრო ცივია კლიმატი, სადაც ხარობს ჩაის ბუჩქი, მით ძვირფასია მისი ხარისხი.

### ინდური ჩაი

ინდოეთში – ყველაზე დიდ მწარმოებელ ქვეყანაში – გამოჰყავთ შავი ჩაის ყველაზე მეტი ნაირსახეობა. ქვეყნის ყველაზე ცნობილი ჩაის რეგიონებია – ასამი და დარჯილინგი. ასამური – მაგარი შავი ჩაის ეტალონი – იძლევა მოყავისფრო-მოწითალო ფერის ნაყენს, გამოირჩევა მწკლარტე გემოთი და ნაზი ხავერდოვანი არომატით. დარჯილინგი, რომელსაც ჩაის შამპანურს უწოდებენ –ჩაის ყველაზე ძვირფასი ჯიშია.



### ცეილონის ჩაი

იძლევა კაშკაშა, მოწითალო ფერის ნაყენს, აქვს ძლიერი, თუმცა არაუცნაური გემო და გამოკვეთილი არომატი. გამოდის საკმაოდ მაგარი ნაყენი, იდეალურია გროგის მოსამზადებლად.

### კენიის ჩაი

ამბობენ, რომ კენიის ჩაის გემო აფრიკის კლიმატს ჰგავსო – მშრალია და მცხუნვარე. კენიის ჩაიში მთავარია არა გემო და არომატი, არამედ სიმაგრე. ჩვენს ბაზარზე წარმოდგენილია ძირითადად გრანულირებული კენიური ჩაი, რომელიც დამზადებულია დაჩქარებული და გამარტივებული ტექნოლოგიით.

### ჩინური ჩაი

ჩინეთში ჩაის წარმოებას ხუთი ათასზე მეტი წლის ისტორია აქვს, ამიტომ ჩინელებმა შეძლეს სრულყოფილად დაუფლებოდნენ მისი წარმოების კულტურას. იქ 350-მდე ჯიშის ჩაი მოჰყავთ, საიდანაც აწარმოებენ ათასზე მეტი ხარისხის ჩაის. ყველაზე ცნობილია – იუანის ჯიშისა, რომელშიც შეხამებულია ბოლის არომატი და შავქლიავის მსუბუქი გემო.

### იაპონური ჩაი

იაპონია უშვებს მხოლოდ მწვანე ჩაის, ყველაზე ცნობილია სენჩის ჩაი. სტატისტიკის მიხედვით, მოსახლეობის 80 პროცენტი ამ ჩაის ანიჭებს უპირატესობას. ის გამოირჩევა არაჩვეულებრივი „აბრეშუმისებური" მწკლარტე გემოთი, რომელსაც ახლავს ახალი ბალახისა და ნიგვზის სურნელი.

### ვირჩევთ ჩაის თუ ჩაის სასმელს?

**მატე** – სასმელია ტროპიკული ხის ფოთლებისგან.

**სასარგებლო თვისებები:** მატე მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომლებიც ახდენენ იმუნიტეტის სტიმულირებას და ხელს უწყობენ სიცოცხლის აქტიურ დღეგრძელობას.

**საწინააღმდეგო მაჩვენებლები:** აქვს ნაღველმდენის მოქმედება, ამიტომ ნაღველკენჭოვანი დაავადების დროს რეკომენდებული არ არის (შეიძლება ქვების მიგრაცია გამოიწვიოს).

**კარკადე** – სასმელი სუდანური ვარდის ყვავილებისგან.

**სასარგებლო თვისებები:** ანტოციანების წყაროა, რომლებიც ამაგრებენ ნაწლავების კედლებს და არეგულირებენ კაპილარების გამტარობას. კარკადე ხელს უწყობს აგრეთვე ორგანიზმის გასუფთავებას.

**საწინააღმდეგო მაჩვენებლები:** იმ ხალხმა, ვისაც არამდგრადი წნევა აქვს, ფრთხილად უნდა გამოიყენოს. ცხელი სახით კარკადე მაღალი წნევიანების წნევას სწევს მაღლა, დაბალი წნევიანებისას – დაბლა.

**როიბუში** – სასმელია წითელბუჩქოვანი მცენარისგან, რომელიც აფრიკაში ხარობს.

**სასარგებლო თვისებები:** გემრიელი გამაგრილებელი სასმელია. შეიცავს დიდი ოდენობით ვიტამინ ცეს, სპილენძსა და ფტორს. არ შეიცავს კოფეინს, ამიტომ ის შეიძლება ვასვათ პატარა ბავშვებსაც კი. საწინააღმდეგო მაჩვენებლები არა აქვს.

### მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

რამდენ ხანს ითვლება ნაყენი ახლად და როდის ხდება იგი სახიფათო?

ჩაი უნდა მიირთვათ არაუგვიანეს 30-40 წუთისა დაყენების შემდეგ. ამ დროის გასვლის შემდეგ იწყება ფენოლის, ლიპიდების, ეთერზეთებისა და არომატული ნივთიერებების თვითდამჟავების ჯანმრთელობისთვის მავნე პროცესები. იმის პირველი ნიშანი, რომ „პროცესი დაიწყო" – პკეა, რომელიც ნაყენის თავზე ჩნდება.

***რედაქციისგან:** ეს მასალა აღებულია გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიდან", რომელიც, გულახდილად უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს დიდი სიმპათიით არ გამოირჩევა ჩვენი ქვეყნისადმი. აი, ახლაც ამ ნაკრებში ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ ქართულ ჩაიზე (რა ვუყოთ, რომ დღეს ჩვენთანაც აღარაა იგი დიდ პატივში, მაგრამ ხომ იყო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უზარმაზარი ტერიტორიის თითქმის ერთადერთი და შეუცვლელი?!). თანაც, „საერთო წესში" ხომ აღნიშნავენ – რაც უფრო ცივია კლიმატი, მით ძვირფასია მისი ხარისხიო. არადა, ჩვენი ჩაი ყველაზე ჩრდილოეთისაა ზემოხსენებულთა შორის. რას იზამ, მოდით, ყველაფერი დროსა და ვითარებას დავაბრალოთ.*

## განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს, საქარის საცდელი სადგურის (დასავლეთ საქართველოს საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი) ხელმძღვანელის თანამდებობაზე – 1 საშტატო ერთეული.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

1. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
2. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; დოქტორანტების (ასპირანტების) შემთხვევაში ცნობა სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
3. შესაბამის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრის, კვლევითი და საერთო განვითარების ხედვა გაანალიზებული იქნას როგორც სამეცნიერო, ასევე სამეურნეო საქმიანობის წარმართვის ანალიზი, ინსტიტუტის კომპლექსურ თემატიკაში;
4. დარგის ცნობილი 3 მეცნიერის სარეკომენდაციო დახასიათება;
5. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 3 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების და პატენტების ნუსხა (შემდეგი თანმიმდევრობით: უცხოურ და ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში, მონოგრაფიები, პატენტები და ა. შ.);
6. მონაწილეობა საგრანტო და საერთაშორისო თემატიკაში (დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
7. სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმიანობის (საერთაშორისო, რესპუბლიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვ. მოწყობა, მონაწილეობა) დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
8. ბიზნესგეგმის, პროექტების შედგენის და მუშაობის ორგანიზების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბუთების წარმოდგენა აუცილებელია აგრეთვე ელექტრონული ფორმით – დისკით.

• საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატი უნდა გამოირჩეოდეს ინსტიტუტის მაპროფილებელი დარგების კარგი ცოდნით; ხელი უნდა შეუწყოს კვლევითი პროგრამების რეგიონში კომერციალიზაციას; ახალი ფინანსური წყაროების მოძიებასა და გენერირებას; მეცნიერებისა და კერძო სექტორის ინტეგრაციას.

**საბუთების მიღება იწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის კანცელარიაში, სამუშაო დღეებში 10-დან 17 საათამდე.**

**მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის პროსპექტი №6, მე-2 სართული, ოთახი №2.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 23 მარტი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის საკონტაქტო ტელეფონებია: 52 36 22; 52 69 16.**

**პასუხისმგებელი პირი მარინა ლომაძე**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში" გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## მკითხველი კურნავს მკითხველს

### შავი ბოლოკი



**ნებისმიერი გაცივების შემდეგ მაწუხებს ხანგრძლივი და მტანჯველი ხველება. თავს ვმკურნალობ მხოლოდ შავი ბოლოკის წვენით. გასუფთავებულ თავს ვჭრი სქელ ნაჭრებად და ვაყრი შაქარს. გამოყოფილ წვენს ვსვამ ყოველი საათის შემდეგ, თითო სუფრის კოვზს.**

**მარინა ჭელიძე**, ახალციხე

**კომენტარს აკეთებს ნანული გელაშვილი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი-თერაპევტი:**

– შავი ბოლოკი საუცხოო წამალია გაცივებისა და ბრონქიტის დროს. ეს არა მხოლოდ კარგი იმუნოსტიმულატორია, არამედ რეკორდსმენიც ეთეროვანი ზეთისა და ფიტონციდების შემცველობით, რომლებსაც აქვთ ანტიმიკრობული მოქმედების უნარი და აწყნარებენ ხველებას. შავ ბოლოკში არის აგრეთვე ვიტამინი ც და ლიზოციმი, რომელიც ანგრევს ბაქტერიების უჯრედებს. თუმცა ბოლოკს აქვს საწინააღმდეგო ჩვენებანიც ღვიძლში, თირკმელებში, კუჭქვეშა ჯირკვლებში წყლულოვანი, მწვავე ანთებითი დაავადებების დროს. ამ შემთხვევაში უკეთესია, მკერდი დავიზილოთ ბოლოკის წვენით.

### ბროწეულის ღრძილებისთვის



**მინდა შემოგთავაზოთ კარგი რეცეპტი ღრძილებიდან სისხლის დენის სამკურნალოდ. ბროწეულის 20-30 გრამი მშრალი ქერქი ადუღეთ 200 მილილიტრ წყალში ნელ ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში, გაწურეთ და ეს ნახარში გამოივლეთ პირში ჭამის შემდეგ.**

**თამარ დავითაია**, სენაკი

**კომენტარს უკეთებს სტომატოლოგი მარინა ბაჩაკაშვილი:**

– ბროწეულის ქერქის ნახარში შეიძლება გამოიყენოთ ღრძილებიდან სისხლდენის, სტომატიტის დროს, ვინაიდან მას აქვს მთრიმლავი (შემკვრელი) და მიკროსაწინააღმდეგო თვისებები, აგრეთვე იგი ხსნის ანთებას.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნინო ბურჯანაძე:
# მე მკაფიო პროქართული კურსი მაქვს

**მოსკოვში გაიმართა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინისა და საქართველოს ოპოზიციური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის შეხვედრა. რაზე იყო საუბარი? ამ შეკითხვაზე გვიპასუხებს თავად ნინო ბურჯანაძე**



– შეხვედრა იყო მეტად საინტერესო. ჩვენ შევეხეთ პრაქტიკულად ყველა საკითხს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემაზე. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ დღევანდელ ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პრაქტიკულად ჩიხურ სიტუაციაშია. სწორედ ამიტომ საჭიროა საუბარი ამ თემებზე, რათა გამოიძებნოს შესაძლებლობა, რომ თუნდაც უახლოეს მომავალში მოწესრიგდეს ასე თუ ისე ცივილიზებული და ნორმალური ურთიერთობანი. სირთულე ბევრია, მით უმეტეს 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მაგრამ სწორედ ეს გვაიძულებს ვისაუბროთ ყველა პრობლემაზე, რაც ამჟამად არსებობს.

*– თქვენ იკისრეთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. უკვე ამჯერად თბილისში გაისმის ხმები,რომ ეს ნამდვილი ღალატია. ამის შესახებ საუბრობენ თქვენი გუშინდელი თანამებრძოლები. ზოგიერთს მიაჩნია, რომ შეიძლება თქვენ სახელმწიფო პასუხისმგებლობაც კი დაგაკისრონ. არ გეშინიათ ასეთი შედეგებისა?*

– არ მეშინია. სახელმწიფო პასუხისმგებლობა შეიძლება დააკისრო ადამიანებს, ვისი მოქმედების შედეგადაც ქვეყანამ დაკარგა თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი. მე კი ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ მოვძებნო რაიმე გზა იმ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსასვლელად, რომელშიც ამჟამად ჩემი ქვეყანა აღმოჩნდა. და ის, რაც მე მოვისმინე ჩემი შეხვედრების დროს მოსკოვში – არ არის დახურული თემები და უნდა ვეძებოთ გზები ურთიერთხელსაყრელ და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, – მიმაჩნია, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია. თითოეული ქართველის ვალია მოაწესრიგოს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიდეთ ამ მეტად რთულ სიტუაციიდან. დიახ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. მაგრამ საკითხი შეეხება ჩემს ქვეყანას, ჩემს სამშობლოს და ვალდებული ვარ, გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია. იმ ხალხს კი, ვინც ამართლებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და ამბობს, რომ „ჩვენ მოვიგეთ ომი“, მართლაც მოუწევს პასუხისმგებლობა.

*– რა უნდა გავაკეთოთ იმ სიტუაციაში, როდესაც არსებობს ხელისუფლება საქართველოში და ხელისუფლება რუსეთში, რომლებიც ერთი მეორეს ვერ იტანენ? თქვენ განიხილავდით საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას?*

– რასაკვირველია, არა. მე აქ ამისთვის არ ჩამოვსულვარ. შეიცვალოს თუ არა საქართველოში ხელისუფლება – ეს მხოლოდ ქართველი ხალხის ნებაა. ვფიქრობ, რომ რუსეთს ეს ესმის ან უნდა გაიგოს. საქართველოში ხელისუფლების ბედი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ ქართველმა ხალხმა. მაგრამ იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რას ფიქრობს რუსეთის ისტებლიშმენტი, როგორ უყურებენ ისინი რუსეთ-საქართველოს პრობლემატიკას და არის თუ არა თუნდაც მინიმალური მზადყოფნა იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობა გახდეს ნორმალური, – ეს იყო ჩემი ვიზიტის მთავარი ამოცანა.

*– თქვენ გაიგეთ, თუ რა გეგმები აქვს რუსეთს სამომავლოდ? არის თუ არა ომის განახლების საშიშროება?*

– არავითარი საუბარი ამის შესახებ არ მომისმენია. იმედი მაქვს, რომ სიტყვები, რომლებიც ითქვა იმის შესახებ, რომ „რუსეთი დაინტერესებულია არ განახლდეს რაიმე კონფლიქტი საქართველოსთან“, იყო გულწრფელი. მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობასაც თავი შეეკავებინათ პრაქტიკულად ომისწინა რიტორიკისა და ანტირუსული ისტერიისგან, რომელიც იწყებს ქსენოფობიაში გადასვლას. ის ტენდენციები, რომლებიც ამჟამად საქართველოში ინერგება აბსოლუტურად შეგნებულად, მეტად სახიფათოა ჩვენი სახელმწიფოს მომავლისთვის. სააკაშვილმა შესანიშნავად გაიგო, რომ ერთადერთი შესაძლებლობა, რათა იგი დიდხანს შემორჩეს ხელისუფლების სათავეში – ეს არის გააჩაღოს ანტირუსული ისტერია, ითამაშოს კონფლიქტის განახლების საშიშროებაზე. მაგრამ ეს საშიშია, ეს ცეცხლთან თამაშია. ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს.

მე მინდოდა მიმეცა შეკითხვა ჩემი ყოფილი კოლეგებისთვის, რომლებიც ამჟამად მე მგმობენ ამ ვიზიტის გამო: ხედავენ ისინი რაიმე პერსპექტივას საქართველოს სტაბილურობისთვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის და მისი ნორმალური განვითარებისთვის რეალური დიალოგის გარეშე ყველაზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან, რომელიც საქართველოს საზღვარზეა? ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ რუსეთთან უნდა გამოინახოს საერთო ენა, მოიძებნოს გადაწყვეტის გზები. დიახ, რთულია, მძიმეა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ვიღაცას მაინც მოუვა თავში აზრი, რომ ბრალი დასდოს ბატონ ობამას ან ვინმეს დასავლეთის სხვა ლიდერებიდან პრორუსულ პოლიტიკაში. თუ ისინი რაიმეს ლაპარაკობენ, მხოლოდ იმისთვის, რომ გონიერი ხალხია და იმისთვის, რომ მოინახოს გამოსავალი იმ რთული პრობლემების გადასაწყვეტად, რაც დღეს მსოფლიოში სუფევს. ხოლო ის ხალხი, რომელიც უარს ამბობს ყველაზე ელემენტარული ურთიერთობების მოწესრიგებაზე, – ისინი უბრალოდ გულწრფელები არ არიან.

მინდა ვიკითხო: თუ სახელმწიფო არ საუბრობს რუსეთთან, მაშ როგორ გაიხსნა საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ლარსი“? რატომ დათანხმდა სახელმწიფო ამ ნაბიჯებზე? სააკაშვილი თავად აგზავნის საიდუმლო ემისრების უამრავ რაოდენობას რუსეთში, რათა შეეცადოს დაამყაროს მასთან თუნდაც რაიმე კონტაქტი. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ბრალს დებს ყველას, ვისაც რაიმე შესაძლებლობა გააჩნია...

*– ეს რა ემისრები არიან? მოსკოვში არ გითხრეს, ვინ არიან ისინი?*

– მე არა ვარ სპეცსამსახურების წარმომადგენელი. მაგრამ დასავლეთში ეს შესანიშნავად იციან და ესმით კიდეც.

*– მოსკოვში შეხვედრის შემდეგ თქვენ პრორუსული კურსი აირჩიეთ?*

– არაკორექტული შეკითხვაა. მე მაქვს პროქართული კურსი და ის მქონდა მუდამ. მაგრამ მიმაჩნია, რომ მოსკოვთან უნდა ისაუბროს ნებისმიერმა ქართველმა ლიდერმა, ვინც იბრძვის საქართველოს ინტერესებისთვის. ჩვენს საზღვართან ხომ არსებობს უზარმაზარი ქვეყანა, რომელიც ზესახელმწიფოა. მას ანგარიშს უწევენ ამერიკელებიც, ევროპელებიც, ჩინელებიც, ავსტრალიელებიც. ამის გაუთვალისწინებლად ვერც ერთი ქართველი ლიდერი – ვერც ოპოზიციაში, ვერც ქვეყნის ხელმძღვანელობაში – ვერასოდეს შეძლებს მოახდინოს სწორი არჩევანი. ვფიქრობ, რომ ჩემი პოლიტიკური ცხოვრების პირველი დღიდანვე გავაკეთე ერთი – ერთადერთი და სწორი არჩევანი, რომლისთვისაც არასოდეს მიღალატია და არც ვუღალატებ. ეს არის პროქართული პოლიტიკა. და რაც უნდა ილაპარაკონ, როგორც უნდა ცდილობდნენ ჩემს გაშავებას, მე ამ პოლიტიკას არ შევცვლი. დადგება დრო, როდესაც ხალხის გაიგებს სიმართლეს – საქართველოშიც, რუსეთშიც და დასავლეთშიც. ისინი შეაფასებენ იმას, რაც ამჟამად ხდება.

Radio Free Europe
Radio Liberty

## დედამიწის ზურგზე



**ხოცვა-ჟლეტა ნიგერიაში: 500-მდე კაცი დაიღუპა**

ანგარიშსწორება მოხდა ქალაქ ჯოს გარეუბანში ერთ-ერთ სოფელში, რომელიც უკვე იყო რელიგიათაშორისი შეჯახების არენა 2009 წელს. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ დაღუპულთა უმრავლესობა – ქალები და ბავშვები არიან.

* * *

**აშშ-მ და სამხრეთ კორეამ დაიწყეს სწავლება: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის არმია მობილიზებულია**



მანევრებში „გადამწყვეტი მომენტი, ახალგაზრდა არწივი“ მონაწილეობს დაახლოებით 18 ათასი სამხედრო მოსამსახურე სამხრეთ კორეის მხრიდან და დაახლოებით 20 ათასი – ამერიკის მხრიდან. ფხენიანი მწვავედ აკრიტიკებს ამერიკა-კორეის სწავლებას და იმუქრება, რომ არა მარტო ჩაშლის სამხედრო ურთიერთობებს, არამედ შეწყვეტს დენუკლეარიზაციის პროცესს.

* * *

**ობამა აღნიშნავს, რომ ერაყიდან ჯარებს 2011 წელს გამოიყვანს**



გამოსვლაში, რომელიც დაემთხვა ერაყში საპარლამენტო არჩევნებს, ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს შეასრულოს დაპირება და მთელი თავისი ჯარები გამოიყვანოს ერაყიდან 2011 წლის ბოლოსთვის. ზაფხულის ბოლოსთვის შეწყდება საბრძოლო მისია, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

* * *

**პაკისტანში ტერორისტული აქტის შედეგად 14 კაცი დაიღუპა**

ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომობილი ცდილობდა შეეღწია პოლიციის დაცვის მიერ კარგად დაცულ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ადგილობრივი პოლიციის საგამოძიებო სამმართველო. 70-ზე მეტი კაცი დაიჭრა.

* * *

**თურქეთში მიწისძვრამ 41 კაცის სიცოცხლე შეიწირა**

მიწისძვრის კერა, რომელიც გუშინ დილით ადრე მოხდა, არის ქალაქ ბინგელიდან 45 კილომეტრის აღმოსავლეთში და 70 კილომეტრის დაშორებით ქალაქ ელიაზიგიდან, ამავე სახელწოდების პროვინციის ადგილობრივი ცენტრიდან.



# საქართველოს კეთილი ნების ჟესტი, რუსეთის ბატონობა

**ძალიან შევწუხდი, როდესაც გავეცანი GUARDIAN-ში გამოქვეყნებულ ჯორჯ ჰიუიტის სტატიას საქართველოს ძალისხმევაზე, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად.**

გასაოცარია, როდესაც ჰიუიტი თითქმის არ ახსენებს რუსეთს: ქვეყანას, რომელსაც ამ ტერიტორიებზე ათასობით სამხედრო ჰყავს განთავსებული, რომელიც აიძულებს იქ დარჩენილ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობის მიღებას და რომელმაც სასტიკი ეთნიკური წმენდის კამპანიებით საკუთარი სახლებიდან თანმიმდევრულად გამოდევნა აფხაზეთის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი – 350 000-ზე მეტი ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

თუკი თქვენ მხოლოდ იმ ადამიანების მოსაზრებებს მოისმენთ, რომლებიც სახლებიდან არავის გამოუყრია, ანუ პატარა უმცირესობას, ეს ეთნიკურ წმენდას ლეგიტიმაციას სძენს? იმ დევნილი ადამიანების აზრს რა ვუყოთ, რომლებიც საქართველოში დღემდე ბანაკებში ცხოვრობენ? ეს მე 1930-იან წლებში სუდეტის ამბავს მაგონებს, როდესაც გერმანელებმა ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის შემდეგ ის დაანაწევრეს და ამ ტერიტორიის ოკუპაცია და ანექსია მოახდინეს.

ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია – ჩვენ ერთად მშვიდობით უნდა ვიცხოვროთ. პრობლემა ის არის, თუ ამას როგორ უნდა მივაღწიოთ. პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს იმ ადამიანების გულების და გონების მოგებას, რომლებიც ამ ტერიტორიებზე რჩებიან, თუმცა იგი ასევე ცდილობს, რომ ისინი, ვისაც ეთნიკურ წმენდას უწყობდნენ, საკუთარ სახლებში დააბრუნოს.

საქართველომ მათ ზეთისხილის რტო გაუწოდა. იმედი მაქვს რომ ისინი მას მიიღებენ, თუმცა იქნებ დავიჯეროთ ოცნების რეალობად წარმოდგენის სურვილი, რომ ამ გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთში ან აფხაზეთში მიიღებენ. სწორედ კრემლია, ვინც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველაფერს მართავს და სხვაგვარად ფიქრი გულუბრყვილობა და შეცდომაა.

რაც შეეხება ჰიუიტის მიერ სტალინის გახსენების და მის ქართველ ნაციონალისტად წარმოდგენის მცდელობას, ვფიქრობ ეს პათეტიკა და ისტორიული ფაქტების სასტიკი დამახინჯებაა: ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ველიკორუსულმა შოვინისტურმა პოლიტიკამ ის რუსეთის ყველა დროის ყველაზე პოპულარულ ლიდერად აქცია.

დარწმუნებული ვარ, ჰიუიტს მისი ნათესავებისთვის აფხაზეთში მხოლოდ სიკეთე სურს, თუმცა სამწუხაროა ის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ილუზორული დამოუკიდებლობის ეიფორიით შეპყრობილს, მას არ სურს იმის დანახვა, რომ ეს ადამიანებისგან დაცლილი ტერიტორიები სინამდვილეში რუსეთის საომარი ზონის, ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილებად იქცა, სადაც მასობრივი უმუშევრობა, კორუფციის ბატონობა და ადამიანთა საბაზისო უფლებების დაცვა რუსული სტანდარტებითაც კი კატასტროფულია.

Guardian

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

ტუხაჩევსკი უფრო მეტად ბრწყინავდა რევოლუციური ფრაზეოლოგიით, ვიდრე სამხედრო გამარჯვებებით. საკმარისია მარტო გავიხსენოთ – როგორ მოაშთო ტამბოვის აჯანყება. ცუდად შეიარაღებული მეამბოხეების წინააღმდეგ მან გადაისროლა რეგულარული არმიის ნაწილები, რომლებიც დაკომპლექტებული იყვნენ ჯავშანტექნიკითა და ავიაციით, სხვადასხვა დამხმარე ქვედანაყოფებიც რომ უჭერდნენ მხარს. უბედურ გლეხებს გაზითაც კი წამლავდნენ. და, მიუხედავად ამისა, პირველი შეტევა წარუმატებელი გამოდგა, გამარჯვება მხოლოდ მეორე შეტევამ მოუტანა. თუმცა ტუხაჩევსკის გამარჯვებაზე აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ძალიან დიდი პირობითობით – ტამბოველი აჯანყებულები მხოლოდ გაიფანტნენ და გადაინაცვლეს სხვა გუბერნიებში, სადაც მათ მოუღეს კიდეც ბოლო – უკვე სავსებით სხვა „წითელმა მეთაურებმა". ამას თითქმის არც აქცევენ ყურადღებას, მაგრამ ეს ხომ ფაქტია – ტამბოვის აჯანყება ტუხაჩევსკის მიერ არ ყოფილა ჩახშობილი.

ეს მოღვაწე კიდევ უფრო დიდად ჩაიჭრა 1920 წლის რუსეთ-პოლონეთის ომის დროს. დასავლეთის ფრონტის სარდლად ყოფნის დროს მან მეტად უხეიროდ გამოიყენა რეზერვები და თავის მოქმედებებს არ უთანხმებდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობას. ტუხაჩევსკიმ ძალიან გაუვიდა თავს ვარშავაზე თავისი სწრაფი შეტევის დროს, რაც ამ ომში რუსეთის დამარცხების მიზეზი გახდა. შედეგად რუსეთმა დაკარგა რამდენიმე თავისი დასავლეთის ტერიტორია, ხოლო 50 ათასი წითელარმიელი პოლონელების ტყვედ აღმოჩნდა, სადაც მათზე ტირანულ ზემოქმედებას ახდენდნენ – ტყვეებიდან თავიანთ სახლებში თითქმის არავინ არ დაბრუნებულა (ამაზე რატომღაც დუმან ჩვენი ჰუმანისტი დემოკრატები, ასე რომ უყვართ მსჯელობა კატინზე „სტალინური მხეცობის" შესახებ).

ტუხაჩევსკისადმი აპოლოგეტურად განწყობილი ბიოგრაფები აღტაცებით ამტკიცებენ, რომ მათი კერპი სსრ კავშირის პოტენციური მოწინააღმდეგეების უახლესი სამხედრო წარმატებების შესახებ გებულობდა უცხოეთის ჟურნალებიდან. მაგრამ ეს ხომ რაღაც ანტირეკლამაა, ისედაც ცხადი არაა, რომ ამგვარი ცოდნის მისაღებად სახალხო კომისრის მოადგილე უნდა სარგებლობდეს სამხედრო დაზვერვის სამსახურით? არაფრით, თუ არა ანტირეკლამით, უნდა აიხსნას მათი აღფრთოვანებული მითითება, რომ ტუხაჩევსკი რეგულარულად დადიოდა თეატრებში, დღეში რამდენიმე საათს უთმობდა მუსიკას.

როდესაც სათავეში ედგა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შეიარაღების უზრუნველყოფას, ტუხაჩევსკი მაშინაც ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მაგალითად, ის ყოველმხრივ უწევდა წინააღმდეგობას არმიაში ნაღმსატყორცნების დანერგვას, მათ საარტილერიო შეიარაღების „სუროგატს" უწოდებდა. მეორე ხუთწლედის გეგმებში ნაღმსატყორცნების წარმოება უბრალოდ გათვალისწინებულიც არ ყოფილა – მათ ნაცვლად „სამხედრო გენიოსი" სთავაზობდა გამოეყენებინათ ქვეითი ჯარების მორტირები (მოკლელულიანი ქვემეხები ე.წ. „კიდული" სროლისთვის – რედ.ძ, რომლებიც არც შექმნილა. 1931 წელს სრულიად დაუსაბუთებლად მან გააუქმა 37-მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის შეკვეთა, სანაცვლოდ კი არაფერი შემოუთავაზებია. ტუხაჩევსკი ვერ აფასებდა ავტომატური იარაღის როლს, მან მხოლოდ 300 პისტოლეტი-ტყვიამფრქვევი შეუკვეთა ხელმძღვანელი შემადგენლობისთვის. ეს „გენიოსი" ვერ აფასებდა რაკეტებსაც, რომელთა ნაცვლადაც ის უპირატესობას ანიჭებდა უგორებელ არტილერიას.

„გენიოსმა" ისურვა, რომ სადივიზიო არტილერიას შეესრულებინა საკორპუსო როლი, ეწარმოებინა სროლები უფრო შორეულ მანძილზე. ამის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ ქვემეხის კალიბრის გადიდების პირობებში. მაგრამ ტუხაჩევსკიმ ეს კატეგორიულად აკრძალა. შედეგი – ნულოვანი.

ტუხაჩევსკის „უდიდეს მიღწევათა" რიცხვს ჩვენი არმიის ნგრევის სარბიელზე უნდა მივაკუთვნოთ საკონსტრუქტორო ბიუროს დაშლაც, რომელიც ჩვენი ლულიანი არტილერიის განვითარებაზე მუშაობდა. შეიარაღების ეს სახეობა მოძველებულად გამოაცხადა, თუმცა სწორედ კუთხვილიანმა (ვიწროდ ჩაჭრილი ზოლების მქონეძ არტილერიამ შეასრულა ერთ-ერთი მთავარი როლი დიდი სამამულო ომის პერიოდში.

სხვათა შორის, სწორედ ტუხაჩევსკიმ დაამუშავა „საპასუხო დარტყმის" მავნე იდეა, რომელიც ჩვენს არმიას მიზნად უსახავდა უფრო შეტევას, ვიდრე თავდაცვას. და უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმიისთვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სტრატეგიული თავდაცვის იდეას. ტუხაჩევსკის მიერ დანერგილი შეტევითი სინდრომის აღმოფხვრა ჩვენში გრძელდებოდა 1943 წლამდე, როდესაც კურსკის ბრძოლის დროს მტერს ალყა შემოერტყა სწორედ იმ ზონაში, რომელიც შესანიშნავად იყო მომზადებული თავდაცვისთვის.

### უბადრუკი არმია

საერთოდ, სამოქალაქო ომისდროინდელ დაწინაურებულებს, რომლებმაც მაღალი პოსტები დაიკავეს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, შეიარაღებული ძალებისთვის რაიმე სარგებლის მოტანა არ შეეძლოთ. თანამედროვე ომის გამოცდილება მათ არ ჰქონდათ, სამოქალაქო ომის გამოცდილებას კი ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

30-იანი წლების ბოლომდე წითელი არმია საცოდავი სანახავი იყო, რასაც ამჩნევდნენ თავად მისი ბელადებიც. როდესაც მუშურ-გლეხურ წითელ არმიას თვით დემილიტარიზებული ვეიმარის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ადარებდა, კორპუსის სარდალი უბორევიჩი აღნიშნავდა: „გერმანელი სპეციალისტები, მათ შორის სამხედრო საქმისაც, ჩვენზე გაცილებით მაღლა დგანან".




და ეს შეფასება კარგადაცაა დასაბუთებული. ჩვენი არმიის ორგანიზაცია საშინელი იყო. 1920-დან 1939 წლამდე მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში საერთოდ არ ყოფილა სამხედრო სამმართველოები. დიდი მანევრების მოწყობა დაიწყო მხოლოდ 1935 წლიდან. მაგრამ რაც მთავარია, ჩვენი არმია 1939 წლამდე არ ყოფილა რეგულარული ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 20-იანი წლების დასაწყისში ტროცკიმ და ლენინმა რადიკალურად შეამცირეს წითელი არმია და იგი ტერიტორიულ-მილიციურ საფუძველზე გადაიყვანეს.

უგუნურმა და შეუკავებელმა შემცირებამ ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად დაუცველი გახადა. 1924 წელს საფრანგეთში იყო 200 ჯარისკაცი 10 000 მოსახლეზე, პოლონეთში – 93, რუმინეთში – 95, ესტონეთში – 123, რუსეთში კი – მხოლოდ 41 (სავსებით შესაძლებელია, ტროცკის ასე უნდოდა დასავლეთის ქვეყნების პროვოცირება რუსეთის ოკუპაციაზე, რათა გაეღვივებინა რევოლუციური სოლიდარობა საზღვარგარეთძ. მცირდებოდა სამხედრო სასწავლებლებიც. გენერალური შტაბის აკადემია გადაკეთდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის აკადემიად, ხოლო სამხედრო-სამეურნეო აკადემია მხოლოდ მის ფაკულტეტად. გააერთიანეს სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-სამეურნეო აკადემიები. თანაც სამხედრო სასწავლებლების მასწავლებლებიც, კურსდამთავრებულებიც ხშირად აქედან „სახალხო მეურნეობის დარგში" იგზავნებოდნენ. მაგალითად, მარტო 1924 წელს სახალხო მეურნეობის შესასწავლად გაგზავნეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის აკადემიის მიერ გამოშვებული 300-ზე მეტი მაღალი სპეციალისტი. შედეგები მეტად სამწუხარო იყო. ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებულმა კომისიამ ს.ი.გუსევის ხელმძღვანელობით 1924 წლის 3 თებერვალს აღიარა, რომ წითელი არმია უბრალოდ ბრძოლის უუნაროა.

არმიაზე დიდ ეკონომიას ეწეოდნენ. 1924 წელს მისი ბიუჯეტი 395 მილიონ რუბლს შეადგენდა – ყბადაღებული 1913 წლის 24,9 პროცენტს. და, როგორც ამჟამად, არმია ზოგჯერ მოსაბეზრებელი იყო. 1926 წლის შემოდგომაზე წითელი არმიის მომარაგების უფროსის მოადგილე ვ.მ.გიტისი აკეთებდა მოხსენებას: „წითელარმიელთა კვების საკითხებთან დაკავშირებით საქმის ვითარება მეტად არაკეთილსაიმედოა. დაბალი ხელფასის გამო გასულ სამეურნეო წელს ნაწილები განიცდიდნენ მუდმივ წყვეტილობას კვების პროდუქტების მოგვარებაში და არ შეეძლოთ გეგმაზომიერად მომარაგებულიყვნენ, ამიტომ სამეურნეო გეგმა ირღვევა"...

მაგრამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა ეგრეთ წოდებულმა „ტერიტორიულ-მილიციურმა სისტემამ", რომელიც შემოიღეს ჯერ კიდევ ტროცკის დროს – იმავე ეკონომიკური თვალსაზრისით, რათა არ შეენახათ „კადრების არმია". მაშინდელი „სამხედრო ბელადების" ნების შესაბამისად, ხალხი მსახურობდა არმიაში შეკრებებზე, საცხოვრებელი ადგილის მახლობლად. სამსახურის ვადა საერთო ჯამში 8 თვეს შეადგენდა – 5 წლის განმავლობაში. ეს აშკარად არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მოემზადებინათ ასე თუ ისე უნარიანი ჯარისკაცი. თუმცა თანდათანობით შემოჰყავდათ საკადრო დივიზიები, მაგრამ 1939 წელს ისინი სულ 26 პროცენტს შეადგენდნენ, შიდა ოლქებში ისინი საერთოდ არც არსებობდნენ.

არის გ.კ.ჟუკოვის ერთი დამახასიათებელი გამონათქვამი: „ჩვენი ტერიტორიული დივიზიები ძალიან ცუდად იყვნენ მომზადებული. კონტინგენტი, სადაც ისინი განთავსდებოდნენ სრულ შემადგენლობამდე, ცუდად იყო მომზადებული, წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც თანამედროვე ბრძოლაზე, არც არტილერიასთან და ტანკებთან ურთიერთმოქმედებაზე. ჩვენი ტერიტორიული ნაწილები მომზადების დონით ვერაფრით ვერ უსწორდებოდნენ საკადროს. ერთ-ერთ ასეთ ტერიტორიულ დივიზიასთან, 82-ესთან, საქმე მქონდა ხალხინგოლზე. იაპონელთა რამდენიმე საარტილერიო ზალპის შემდეგ ის გაიქცა. მოგვიწია მისი შეჩერება ყოველგვარი, ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით".

თუ ეკონომიაა, ეკონომია იყოსო! მაგრამ, იქნებ, მართლაც შეუძლებელი იყო არმიის შენახვა? სიტუაცია ეკონომიკაში მართლაც ხომ მძიმე იყო. ეს, რასაკვირველია, ასე იყო. მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, მაშინ რა ჯანდაბისთვის ხარჯავდნენ ბოლშევიკები ამდენ სახსრებს კომინტერნზე? 20-იან წლებში ამ ორგანიზაციას ხმარდებოდა ნამდვილი ოქროს ნაკადები. პრინციპულად, კომინტერნი რაღაც ერთგვარი სახელმწიფო იყო სახელმწიფოში – დაფინანსების შესაბამისად. მას თავისი დაზვერვაც კი ჰყავდა, რომელსაც თავმდაბლურად საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება ერქვა. ამ განყოფილებას ჰქონდა საკუთარი ოპერატიული მუშაკების, დამშიფვრელების, კურიერების, რადისტების შტატი. განყოფილების უნარიან მუშაკებს შეეძლოთ დაემზადებინათ ნებისმიერი ყალბი დოკუმენტი – პასპორტიდან საიდუმლო დადგენილებამდე. განყოფილების წარმომადგენელი კურირებას უწევდა ყველა კომუნისტური პარტიის საქმიანობას, თანაც მისი ნამდვილი სახელი არავინ იცოდა. 20-იანი წლების დასაწყისში განყოფილებას ჰქონდა ისეთივე სტატუსი, როგორიც წითელი არმიის გენერალური შტაბის განყოფილებასა და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილებას. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდებოდა უცხოეთის კომპარტიების დაფინანსება – რუსი მუშებისა და გლეხების, აგრეთვე წითელარმიელების ხარჯზე.

თანაც „მსოფლიო რევოლუციისთვის" გათვალისწინებულ თანხებს ითვისებდა ზოგიერთი მისი ფხიანი შემოქმედი. 20-იან წლებში ერთ-ერთმა ასეთმა მაქინატორმა – ლუბარსკიმ (რომელიც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლად ითვლებოდაძ 750 ათასი ლირიდან, იტალიის კომუნისტური პარტიისთვის რომ იყო გათვალისწინებული, მას 288 ათასი გადასცა. მანვე სადღაც დახარჯა თანხა 124487 შვედური კრონის ოდენობით. ლიტვინოვმა ლუბარსკისთვის შესთავაზა „საშინელი" სასჯელი – გამოუცხადონ საყვედური. მაგრამ მას კიდევ უფრო „მკაცრი" განაჩენი გამოუტანეს – გარიცხეს პარტიიდან.

სტალინმა 1935 წელს შეწყვიტა მთელი ეს უკუღმართობა, აკრძალა კომუნისტური პარტიების დაფინანსება. ამიერიდან ხელფასზე იჯდა მხოლოდ მოსკოვში მყოფი კომინტერნის აპარატი. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ განხორციელებულიყო თავად კომპარტიების ხელმძღვანელობა, გამოეყენებინათ ისინი სსრ კავშირის ინტერესებისთვის. და დამახასიათებელი დამთხვევა – სტალინმავე გადააქცია წითელი არმია ნამდვილ საკადრო არმიად, როდესაც 1939 წელს შემოიღო საყოველთაო სამხედრო ბეგარა. მაგრამ წესრიგის დასამყარებლად საჭირო იყო საფუძვლიანი გაწმენდა სამხედრო მეთაურობისა, რომელთანაც არანაირი აზრი არ ჰქონდა რაიმე გარდაქმნის დაწყებას. ისეთ არმიას, როგორიც 20-იან წლებში შეიქმნა, შეეძლო მხოლოდ უნიჭოების წარმოქმნა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ – სწორედ მისმა უნიჭოებმა წარმოქმნეს იგი, რომელიც ასეთი კვაზიარმიის არსებობის დროს გახდა კიდევ უფრო უნიჭო.

ამ არმიის ხელმძღვანელობის რეპრესირება ნიშნავდა არა მის დასუსტებას, არამედ გაძლიერებას. ახალი დაწინაურებულები, რომლებიც სტალინური წმენდის შემდეგ მოვიდნენ არმიის სათავეებში, არ ყოფილან ტუხაჩევსკების, იაკირების, დიბენკოებისა და ბლიუხერების ნიმუშის პერსპექტიული სარდლები... თუნდაც იმიტომ, რომ არ ყოფილან ასე დიდხანს უმაღლეს ხელმძღვანელ პოსტებზე ასეთ უვარგის, „ტროცკისტულ" არმიაში.

სტალინურმა ჩეკისტებმა კი მხოლოდ განამტკიცეს მუშურ-გლეხური წითელი არმია. საკადრო თვალსაზრისით 1941 წელს ჩვენ გვყავდა უფრო უკეთესი არმია, ვიდრე 1937 წლამდე გვყავდა. იგი 1939-1941 წლებში შექმნა სტალინმა, რომელმაც გამოიყენა ის შესვენება, რაც მას საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაახლოებამ მისცა.

იმ წლებში მან არმია გადაიყვანა საკადრო საფუძველზე, შექმნა „საფარველი არმიის" სისტემა (182 დივიზია, საიდანაც 16 მეორე სტრატეგიული ეშელონის დივიზია იყოძ. სწორედ მათ ზონაში დაამუხრუჭა ჰიტლერმა თავისი ბიჟური შემოტევა და იძულებული იყო უარი ეთქვა ელვისებურ ომზე (ბლიცკრიგზეძ, რაზეც იყო აგებული მთელი მისი სტრატეგია.

ამას გარდა, ომისწინა ორი წლის განმავლობაში სტალინმა ქვეყნის ღრმა რაიონებში განამტკიცა სამრეწველო ბაზა. ვოლგასა და ურალს შორის მან შექმნა ნავთობბაზა – „ახალი ბაქო". ციმბირსა და ურალში – ააგო დუბლიორი ქარხნები, რომლებიც უშვებდნენ მანქანათმშენებლობის, ქიმიურ და ნავთობგადასამუშავებელ პროდუქციას. გააფართოვა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი და დაასრულა ნიჟეგოროდსკის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-42.

◉ აბსურდის თეატრი

# თუ თავი არა გაქვს, ნუ ხტუნაობ



გემახსოვრებათ, რა სკანდალი მოჰყვა ეროვნული ჩემპიონატის 6 თებერვლის მატჩის შემდეგ სფფ სადისციპლინო კომიტეტის მიერ მიღებულ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ბოლნისის „სიონი“ და „ცხინვალი“ არასპორტულ საქციელში ამხილეს და მკაცრადაც დასაჯეს.

აღნიშნულის ვერდიქტის თანახმად, დასახელებული გუნდების სამართლიანი თამაშის პრინციპების დარღვევაში დასდეს ბრალი და, სფფ და პფლ დებულებების შესაბამისად, როგორც გარიგებული ბრძოლის მონაწილენი, 1000-1000 ლარით დააჯარიმეს, თანაც შედეგი – 1:0 დევნილთა კლუბის სასარგებლოდ, გაუქმდა და ორივეს ჩაეთვალა წაგება – 0:3.

ასეთი განაჩენის გამოტანისას წესრიგის მოყვარულებმა ქვემოქართლელთა მიერ შეთავაზებული ვიდეოფირით იხელმძღვანელეს, სადაც მხოლოდ საკვანძო მომენტები იყო ასახული. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ კადრს მიღმა დარჩა ნომინალური მასპინძელთა კარში ჩირიკაშვილის გატანილი გადამწყვეტი გოლის შემდეგ ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდთა მიერ მოწყობილი დაახლოებით ერთწუთიანი ზეიმი, არადა გამარჯვებულებს მთავარ ბრალდებად სწორედ ზუსტი დარტყმის უემოციოდ გამოხატვას უყენებდნენ.

სამართალმა პური ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე ცხინვალელთა სრულყოფილი ვიდეოფირის წარდგენის შემდეგ ჭამა, სადაც მშვენივრად ჩანს, როგორ გულიანად ულოცავენ ბიჭები ერთმანეთს პარტნიორის გოლს, ასე რომ, მხარეთა სიბინძურეში დადანაშაულება ფაქტობრივი მასალებით არ იყო განპირობებული. გაეცანით სფფ სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობას, რომელმაც წერტილი დაუსვა აბსურდის თეატრის ერთთვიან სპექტაკლს: ვერა დობორჯგინიძე (თავმჯდომარე), მიხეილ საბახტარაშვილი (მისი მოადგილე), ვალერიან კობახიძე და ილია დათუნაშვილი. რაც შეეხება მეხუთე წევრს ვახტანგ ქორიძეს, იგი, მოგეხსენებათ, აჭარის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტად და სფფ ალმასკომის წევრად აირჩიეს, ფედერაციის წესდებით კი ერთ პირს ერთდროულად ორი კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობა აკრძალული აქვს.

მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა აღიარეს, რომ აჩქარდნენ და გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღეს. კეთილი და პატიოსანი, შეცდომა ვის არ დაგვიშვია, მაგრამ რა ვუყოთ ერთ-ერთი მათგანის მაშინდელ სიტყვებს – რომც არ დადასტურდეს ამ ფაქტის ჭეშმარიტება, სხვათა შესაშინებლად ვინმე ხომ უნდა დავსაჯოთო?

ბუნებრივია, კლუბების თავკაცების დავით კირკიტაძისა და დიმიტრი სანაკოევის ყოვლისშემძლეობაც მტკიცდება, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სააპელაციო კომტეტიმათთვის (თუ სიმართლის? – რედ) სასურველ ვერდიქტს გამოიტანდა.

სხვათა შორის, სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოშია შესაძლებელი, რომელიც, თურმე, ფორმირების პროცესში ყოფილა, მაგრამ საკითხავია, ვინ აიტკივებს აუტკივარ თავს და გაბედავს ნაცმოელთა წინააღმდეგ ამხედრებას?

და ბოლოს, დასანანია, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალმა შეფმა გია ფირცხალავამ, რომელმაც თავიდანვე შემრისხავთა მხარე დაიჭირა, წაგებული დავით დაიწყო მოღვაწეობა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ჭკვიანი კაცი შეცდომებით ბევრ რამეს სწავლობს.

გია პლატონიშვილი

◉ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**საქართველოს XXI ეროვნული ჩემპიონატის XXVI ტური.** „დინამო“ – „ოლიმპი“ 0:0, „ცხინვალი“ – „სამტრედია“ 1:1, „გაგრა“ – „ლოკომოტივი“ 0:1, „სიონი“ – „ბაია“ 0:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 53, „ზესტაფონი“ – 49, „დინამო“, „ ვიტ ჯორჯია“ – 42-42, „ცხინვალი“ – 28, „სამტრედია“ – 24, „ბაია“, „სიონი“ – 20-20, „ლოკომოტივი“ – 18, „გაგრა“ – 14 ქულა.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „ჯენოა“ 0:0, „რომა“ – „მილანი“ 0:0.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „სევილია“ 3:2, „ალმერია“ – „ბარსელონა“ 2:2.

**ინგლისი.** „ვულვზი“ – „მანჩესტერი“ 0:1. **თასი.** „ჩელსი“ – „სტოკი“ 2:0.

**გერმანია.** „კიოლნი“ – „ბაიერნი“ 1:1, „ნიურნბერგი“ – „ლევერკუზენი“ 3:2.

**საფრანგეთი.** „ბორდო“ – „მონპელიე“ 1:1, „ბულონი“ – „ლიონი“ 0:0.



◉ კალათბურთი

# ნინიაშვილმა ძველი დრო გაიხსენა



**სუპერლიგის მორიგ ტურში განსაკუთრებულ ინტერესს აგრარული და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების სტუდენტური დერბი იწვევდა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ გულშემატკივართა მოლიდინი გამართლდა – უშეღავათო ბრძოლის ბედი სასოფლოელთა სასარგებლოდ უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა – 103-93.**

ამ შეხვედრას ორი გმირი ჰყავდა, მაგრამ თუ გამარჯვებულთა გამთამაშებლის ბექა წივწივაძის უხვ მონაგარს მიჩვეულნი ვართ (იგი მატჩის პირველ ნახევარში გამოირჩეოდა), მის პარტნიორ თორნიკე ნინიაშვილის აქტიურობა სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. იგი, მოგეხსენებათ, ახალ პარტნიორებს „ავიამშენის“ დაშლის შემდეგ შეუერთდა და აქამდე ჩრდილში იყო მოქცეული, ხოლო ამჯერად სწორედ გადამწყვეტ მომენტებში იყოჩაღა.

**XV ტურის დანარჩენი თამაშები ასე დასრულდა:** „ბათუმი“ – „ჭიათურა“ 100:56, „დინამო“ – სამედიცინო აკადემია 77:73, შსს – სოხუმი 105:87.

**12 მარტს რუსთავში გაიმართება XVI ტურის ცენტრალური მატჩი:** „ენერჯი ინვესტი“ – შსს.

◉ ინტერნეტიდან



## ძარცვა დღისით, მზისით

**როგორც რეიტერის სააგენტო გვამცნობს, გერმანიაში მოხდა პოკერში უდიდესი ტურნირის ძარცვა. იმასაც გვეუბნებიან, რომ ნუ შეადარებთ ფილმებით ცნობილ სხვა გაძარცვებსო. ყველაფერი ძალზე გამჭვირვალედ მოხდაო.**

ბერლინის სასტუმროში, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა, შეიჭრა კალაშნიკოვის ავტომატებით და ხელყუმბარებით შეიარაღებული 6 ნიღბიანი მძარცველი. დაუზუსტებელი ცნობებით, მათ მოახერხეს მილიონი დოლარის გატაცება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის მონაწილე იყო წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ბორის ბეიკერი, თუმცა ძარცვის მომენტში ის დარბაზში უკვე არ ყოფილა.

## ზიდანი ალჟირელთა მწვრთნელი?

**ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელს ზინედინ ზიდანს შესთავაზეს ალჟირის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა.**



როგორც იტყობინებიან, ალჟირის პრეზიდენტი აბდელ აზიზ ბუტეფლიკა თავის რეზიდენციაში შეხვდა ზიდანს, რომლის მშობლები ამ აფრიკულ ქვეყანაში არიან დაბადებულნი, და შესთავაზა გაწვრთნას ეროვნული ნაკრები სამხრეთ აფრიკაში მუნდიალის შემდეგ. ამ განსაკუთრებულ ვახშამზე ყოფილან ზიდანის მამა და პრეზიდენტის ძმები.

ალჟირის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს რაბახ საადანს კონტრაქტის ვადა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გასდის.

ზიდანმა მოფიქრებისთვის პრეზიდენტს დრო სთხოვა. აღსანიშნავია, რომ ალჟირის პრეზიდენტი ზიდანს უკვე მეორედ სთავაზობს ამ თანამდებობას. პირველად ეს იყო 2006 წელს, ალჟირში ზიდანის ვიზიტის დროს.

## ბეწვეულზე უარს ამბობს

**ტანსაცმელში ცხოველთა ბეწვეულის გამოყენებასთან ბრძოლის ახალი კამპანიის სახე გახდა პოპულარული მოდელი კელი ჰეიზელი, ერთ დროს რომლის თაყვანისცემლები იყვნენ ცნობილი ფეხბურთელები უეინ რუნი და ჯო კოული.**

„მუდამ ვეუბნები სტილისტებს, რომ არ ვატარებ ბეწვეულს, – განაცხადა ლამაზმანმა, – ბეწვი მხოლოდ მაშინაა ლამაზი, როდესაც ის თავის პირველ პატრონს „აცვია“. კომფორტულად თავი შენს სხეულში უნდა იგრძნო და ცხოველები არ ხოცო“. ჰეიზელი ცოტა ხნის წინ უბრალო ბრიტანელი პარიკმახერი იყო, მაგრამ მისი ბედი კარდინალურად შეიცვალა, როდესაც გაშიშვლდა ჟურნალისთვის FHM. შეიძლება ითქვას, მასთან დადგა იმ ჟურნალების რიგი, ქალთა შიშველ სხეულებზე რომ არიან დასპეციალებულნი. თუმცა ის ჟურნალ-გაზეთების განუყრელი გმირი გახდა მას შემდეგ, რაც 2007 წლის იანვარში ინტერნეტში გამოჩნდა ფირი ლამაზმანისა და მისი ყოფილი ბოიფრენდის ლოიდ მილერის პიკანტურ დროსტარებაზე. და იმითაც, რომ კოული სცემა კელის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.



◉ ოლიმპიადის ექო

# ობამამ ლუდი წააგო

**ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებათა პერიპეტიებს განსაკუთრებით ადევნებდნენ თვალს მრავალი ქვეყნის პირველი პირები. ასე იყო ჰოკეიში ფინალური მატჩის – აშშ-კანადა – დროსაც. თავიანთი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო როგორც ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ისე კანადის პრემიერ-მინისტრი სტივენ ჰარპერი. ისინი დანაძლევდნენ კიდეც. თუ კი აშშ ნაკრები დამარცხდებოდა, ობამა მოვალე იყო, მეზობელი ქვეყნის თავკაცისთვის გაეგზავნა ერთი ყუთი** პენსილვანიური ლუდი Yuengling. **კანადელ პრემიერს კი დამარცხების შემთხვევაში – 24 ბოთლი Molson.**

გამარჯვებული თითქმის მატჩის ბოლომდე არ გამოვლინებულა. მხოლოდ ოვერტაიმში კანადელი სიდნი კროსბის გატანილმა შაიბამ ჯვარი გადაუსვა ობამას იმედებს.

სხვათა შორის, არ გაუმართლა თეთრი სახლის პრეს-მდივან რობერტ გიბზსაც. ის კი თავის კანადელ კოლეგას დაენიძლავა ჰოკეიში ქალთა ნაკრებების ფინალზე. აქაც ამერიკელმა სპორტსმენებმა იმედი გაუცრუეს თავიანთ პოლიტიკოს გულშემატკივრებს – 2:0. კანადელთა სასარგებლოდ. წაგებული რობერტ გიბზსი მოვალეა, უახლოეს პრეს-კონფერენციაზე გამოვიდეს ნეკერჩხლის ფოთლიანი პულოვერით. მისი კანადელ კოლეგას კი ასეთ შემთხვევაში ამერიკის ნაკრების ჯემპრე უნდა ჩაეცვა.



**სურათზე: აშშ ნაკრების ჰოკეისტებმა ხელი შეუშალეს თავიანთ პრეზიდენტს, უფასოდ შეესვა კანადური ლუდი.**

◉ 26 საუკუნის შემდეგ

# ასე იცის საქართველომ!

## თამაზ გოგოტიშვილის აღზრდილი თამაზ ციციაშვილი ისრაელში ქართულ საქმეს აკეთებს


თამაზ ციციაშვილი

**იმ დღეს რუსთაველზე შემომხვდა თამაზ გოგოტიშვილი — ქართულ ცეკვას გადაყოლილი კაცი, ცნობილი ქორეოგრაფი, ბავშვთა საცეკვაო ანსამბლების გამორჩეული პედაგოგი, უამრავი, დღეს სახელგანთქმული მოცეკვავის აღმზრდელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი... მოვიკითხეთ ერთმანეთი, ახალი რა არის თქვენკენმეთქი...**

— გუშინ ჩამოვედი ისრაელიდან, შთაბეჭდილებებით დატვირთული, ჩემმა აღზრდილმა ქართველმა ებრაელმა თამაზ ციციაშვილმა დამაფასა, შვილის ნათლობაზე მიმიწვია და შესანიშნავი დრო გამატარებინაო, — მეუბნება ბატონი თამაზი. — სხვათა შორის, ისრაელიდან ჩამოვიტანე გაზეთი **„ალია საქართველოდან"**, რომელიც ახლახან 35 წლისა გამხდარა და რომელშიც თამაზ ციციაშვილის მოღვაწეობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მოგიტან ამ გაზეთს, არ იქნება ურიგო, „საქართველოს რესპუბლიკამაც" თქვას ერთიორი სიტყვა კაცზე, რომელიც დღეს უკვე ქართული ცეკვის ერთ-ერთი პროპაგანდისტია ისრაელში...

— კეთილი და პატიოსანი-მეთქი... აღარ დააყოვნა, ერთ საათში მომიტანა რედაქციაში გაზეთი თამაზ გოგოტიშვილმა და თან გულური იუმორით დამიბარა, აბა, შენ იცი, „სიგლახე" არაფერი დააკლოო...

* * *

**საქართველოდან ისრაელში წასული ბევრი ებრაელი რა სასიკეთო საქმეებს აკეთებს ორი უძველესი ერის სიახლოვისთვის, ქვეყანამ იცის.** ვინ მოთვლის, რამდენი ქართული თეატრალური და მუსიკალური კოლექტივი, რამდენი მომღერალი თუ ქორეოგრაფიული ანსამბლი შეიქმნა აქ ათეული წლების მანძილზე, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ და ხალხს არ ავიწყებდნენ ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან მხარეს, ატკბობდნენ მათ თვალსა და ყურს ქართული სიმღერებით, ცეკვებით და თეატრალური დადგმებით.

ეს იყო ნოსტალგიაც და ბუნებრივი სიყვარულის გამოვლინებაც ადამიანებისა, რომლებიც თითქმის ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხის მხარდამხარ იღვწოდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ..

ჰოდა, ამ 12 წლის წინათ ისრაელში ოჯახით ასული ნიჭიერი ქორეოგრაფი და შესანიშნავი მოცეკვავე თამაზ ციციაშვილიც შეემატა „ქართულ საქმეს". იგი უკვე ბათ-იამისა და აშდოდის ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიებში ქართული ცეკვის ხელოვნებას გადასცემს მოზარდ თაობას.

თამაზ ციციაშვილმა ჯერ კიდევ თბილისის ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლისას დაიწყო ცეკვა, როგორც აღვნიშნე, თამაზ გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით. 1992-1998 წლებში კი (ისრაელში ამოსვლის ბოლო დღემდეძ „სუხიშვილებში" ცეკვავდა.

რაღა დასამალია, ძვირფასო მკითხველო, რომ ამწუთას მე გაზეთში „ალია საქართველოდან" თამაზ ციციაშვილზე დაბეჭდილ ირაკლი კოკუაშვილის მასალას „ვქურდავ", სადაც ერთ ადგილას თამაზ ციციაშვილი იგონებს: „სიმართლე გითხრათ, სრულებით არ მოველოდი, რომ ცეკვა დამეხმარებოდა ახალ, ჩემთვის უცხო ქვეყანაში ცხოვრების აწყობაში. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საკუთარი თვალით ვიხილე ჩვენი თემის სათუთი და თბილი დამოკიდებულება ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი. ვერც კი წარმოვიდგენდი უცხო ქვეყანაში ამდენი ქართული კოლექტივის არსებობას. უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობდნენ ისრაელში ამ დროს ქორეოგრაფები გურამ მიხელაშვილი, სიმონ ჯანაშვილი, შოთა წვენიაშვილი და სხვები. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სიმონ ჯანაშვილმა შემომთავაზა მუშაობა დამეწყო ქალაქ რამლეში ქორეოგრაფად — ბავშვთა ანსამბლში... და, 1999 წელს დავიწყე კიდეც. ამას მოჰყვა ბათ-იამის ქორეოგრაფიული სტუდიის შექმნა ბრწყინვალე პიროვნების, გაზეთ „ალიას" დამაარსებლისა და რედაქტორის ბატონ აბრაამ საპირის (სეფიაშვილისძ დახმარებით... მერე კი წავიდა და წავიდა...

* * *

**დღეს თამაზ ციციაშვილი მრავალი ნიჭიერი მოცეკვავის აღმზრდელია, დიდად ემადლიერებიან მას აღზრდილები, მშობლები, აქებენ მის ადამიანურ თვისებებს, საყვარელი საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას...**

შესანიშნავი ოჯახი ჰყოლია თამაზ ციციაშვილს — მეუღლე მაკა გაზნელიშვილი, ორი ვაჟიშვილი აკაკი და დანი. თოთხმეტი წლის აკაკი მამის კვალზეა შემდგარი, სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატია და გვერდით უდგას მამას პატარების აღზრდაში (ამ ბოლო დროს იგი სამეჯლისო ცეკვებითაც დაინტერესებულაძ...

შენს საქმეებს გაუმარჯოს, ჩვენო თამაზ, ჩვენო კარგო ქართველო ებრაელო!

ხოლო თამაზ გოგოტიშვილი, აღმზრდელი თამაზ ციციაშვილისა, თავის სამაგალითო საქმეებს განაგრძობს, ცნობილია, რომ იგი არის საბავშვო ანსამბლ „შეჯიბრის" სამხატვრო ხელმძღვანელი და როგორც იმ დღეს მითხრა, აპრილში გასტროლები აქვს შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკსა და ფლორიდაში...

შთაბეჭდილებები მერე ნახეთ თქვენ!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ დაკოდილი გული

## 9 მარტის ტრაგიკული მოვლენებიდან 54 წელი გავიდა

1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ 54 წელი გავიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებამ პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ, საბჭოთა კავშირის მილიონობით მოქალაქე შეაშფოთა. განსაკუთრებული რეაქცია ხრუშჩოვის გამოსვლას საქართველოში მოჰყვა. საქართველოში მისი „საპროგრამო სიტყვა" ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს, რასაც თბილისსა და სხვა ქალაქებში დემონსტრაციები მოჰყვა.

ქართველმა სტუდენტებმა თბილისის ქუჩებში სტალინის პორტრეტებით მოაწყვეს მსვლელობა. 7 მარტს დემონსტრანტებს მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა.

დემონსტრანტებს ინტელიგენციის ნაწილი და მასში მონაწილე ახალგაზრდების მშობლებიც შეუერთდნენ. 8 მარტს კი დემონსტრანტებს მხარდაჭერა თბილისის სხვადასხვა ქარხნისა და ფაბრიკის მუშებმაც გამოუცხადეს.

დემონსტრანტების მოთხოვნები უფრო და უფრო პოლიტიზებული ხდებოდა. გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც. საბჭოთა ხელისუფლებისათვის პროტესტი და დემონსტრანტების მოთხოვნები მიუღებელი იყო. აშკარა ხდებოდა, რომ დემონსტრანტები მოწოდებების საფუძველზე არ დაიშლებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ. შეტაკება მშვიდობიან დემონსტრანტებსა და საბჭოთა კავშირის საჯარისო ნაწილებს შორის 9 მარტს ღამით მოხდა.

დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, დაღუპულთა რაოდენობა 100-დან 1000 ადამიანამდე მერყეობს.

ჯი-ეიჩ-ენი

---

ბონდო, ნუცა, ვასო და კოტე სამუშიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონებს ფრიდონ და დავით ინჯიებს და მათ ოჯახებს ღირსეული პიროვნების, სამაგალითო დედის, ბებიის, მრავალი თაობის აღმზრდელი დიდი პედაგოგის

ტატიანა (ტატოძ სილაგაძე-ინჯიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს „სისტემ ნეტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ფრიდონ და დავით ინჯიების დედის, ილია, ხათუნა, ჯაბა და ლიკა ინჯიების ბებიის

ტატიანა (ტატოძ სილაგაძე-ინჯიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ფრიდონ და დავით ინჯიების დედის, ილია, ხათუნა, ჯაბა და ლიკა ინჯიების ბებიის

ტატიანა სილაგაძე-ინჯიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

გოდერძი ბუკია ოჯახით თანაუგრძნობს ფრიდონ და დავით ინჯიებს ძვირფასი დედის

ტატიანა (ტატოძ სილაგაძე-ინჯიას

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ციცინო, შვილები ნინო, მაია ჩიქოვანები, სიძეები მამუკა ტაბატაძე, გიორგი დათუსანი, შვილიშვილები ანანო, გვანცა ტაბატაძეები, შოთა, გიორგი, კონსტანტინე დათუსანები, მძახალი მანანა წერეთელი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

ტიტე გრიშას ძე ჩიქოვანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 III, გამოსვენება 11 III, 14 სთ. შარტავას, 18.

---

ბელა დურგლიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ტიტე ჩიქოვანი

---



სს „ინჟმშენის" შრომითი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული პიროვნების

გივი კვეზერელის

გარდაცვალებას.

მისმა უეცარმა სიკვდილმა დიდი გულისტკივილი და სინანული გამოიწვია ინჟმშენის კოლექტივში.

ბატონი გივი წლების განმავლობაში ულალატოდ ემსახურებოდა მინდობილ საქმეს. იყო კეთილი და პრინციპული ადამიანი, პატრიოტი. ქვეყნის პირველი მოწოდებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

სს „ინჟმშენის" კოლექტივი გამოთქვამს დიდ მწუხარებას და სამძიმარს უცხადებს ბატონ გივი კვეზერელის ოჯახს. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პროვიზორი

მერი საბაური

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

◉ ინფორმაცია

## სასაზღვრო პოლიციის მაღალჩინოსნები დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა სასაზღვრო პოლიციის საფინანსო სამეურნეო სამმართველოს უფროსი ლევან ასიტაშვილი დააკავეს.

ამავე ბრალდებით დაკავებული არიან სამმართველოს შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით გედენიძე და შპს „ჯეოიმპექსის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გიორგი დავითურიც.

2010 წლის 16 იანვარს სასაზღვრო პოლიციაში გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი საკვები პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის საერთო ღირებულებამ 2 600 000 ლარი შეადგინა.

ლევან ასიტაშვილმა და დავით გედენიძემ ტენდერის ოფიციალურად გამოცხადებამდე მცირე ხნით ადრე მეგობრებს დააარსებინეს ფირმები და პირადი სარგებლის მიღების სანაცვლოდ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მიანიჭეს არამართლზომიერი უპირატესობა და გაამარჯვებინეს ხსენებულ ტენდერში.

დაკავებულთაგან ჩადენილ დანაშაულს სრულად აღიარებს დავით გედენიძე, ხოლო ლევან ასიტაშვილი და გიორგი დავითური დანაშაულს ნაწილობრივ აღიარებენ.

მოქმედი კანონმდებლობით ხსენებულ დანაშაულთა ჩადენა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 9 წლამდე.

## კახეთს კვლავ მგლებმა შეუტიეს

კახეთში მგლების შემოტევის მორიგი ფაქტი დაფიქსირდა. წნორელი თამაზ ჯაოშვილი მგლებისგან მიყენებული ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მარცხენა ხელის მტევანზე და მუცლის არეში მიღებული



იარები დაუმუშავდა. ქირურგიული ჩარევა აუცილებელი გახდა. ამის შემდეგ დაზარალებული სახლში გაწერეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ყველაფერი ყველაფერზე

### ვის როგორ ესმოდა

შილერის მეამბოხეობა ზოგ დიდებულს ასანთს აგონებდა, რომელიც ცელქ ბიჭს დენთით სავსე კასრთან მიაქვს. როცა პოეტი გარდაიცვალა, სულ ერთი წლის შემდეგ გოეთე კარლსბადში (დღევანდელი კარლოვი ვარი ჩეხეთიძ ისვენებდა, და თავის დღიურში რუს თავად პუტიატინის სიტყვები ჩაწერა. პუტიატინმა თურმე თქვა: მე რომ ღმერთის ადგილას ვყოფილიყავი და წინასწარ მცოდნოდა, რომ შილერი ისეთ პიესას დაწერს, როგორიც „ყაჩაღებია“, მაშინ სამყაროს შექმნაზე უარს ვიტყოდი“.



ეს სიტყვები, გნებავთ, რუსი არისტოკრატის ხუმრობად მიიღეთ, გნებავთ სერიოზულად ნათქვამად. ერთი რამ კი ცხადია, „ყაჩაღები“ ტირანების წინააღმდეგ გამოტანილი მეტად დასაბუთებული განაჩენია.

### უდიდესი პოეტი სუსტი ექიმი იყო

**ფრიდრიხ შილერი შტუტჰარდტის გრენადერთა პოლკში ექიმად მუშაობდა. ეტყობა, სუსტი მკურნალი იყო, მეტ დროს წერას და ახალ ნაწარმოებებზე ფიქრს ანდომებდა.** ჰერცოგმა, რომელსაც ემსახურებოდა პოეტი, აუკრძალა მას წერა (გარდა სამედიცინო ტრაქტატებისაძ, თუ არა და ციხეში ამოვაყოფინებ თავსო.

მეტი რაღა ჩარა იყო, შილერს შტუტჰარდტიდან გაქცევა მოუხდა.

### ვოლტერმა კანტსაც დასცინა და ლაიბნიცსაც

**კანტი მეტად ოპტიმისტურ დასკვნამდე მივიდა: ღვთიურმა გონებამ დაადგინა ბუნების კანონები. თითოეული ადამიანი არა მარტო ემორჩილება მას, არამედ თავისუფალი არჩევანიც აქვს კეთილსა და ბოროტს, სიმართლესა და სიცრუეს, ცოდნის მიღებასა და უგუნურ არსებობას შორის. ამ არჩევნისგან დამოუკიდებლად საზოგადოება გარკვეულად სრულყოფის მიმართულებით ვითარდება.**



ლაიბნიცი ამბობდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის, არსებულთაგან ამ ყველაზე უკეთეს სამყაროში.

ვოლტერი რის ვოლტერი იქნებოდა, რომ ეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი გაეზიარებინა. ორივე ამ ფილოსოფოსს თავის უკვდავ „კანდიდში“ მან მწარედ დასცინა.

### რამ აღაშფოთა ჰიუგო?

**დიუმამ გადაწყვიტა თავისი რომანი „ოცი წლის შემდეგ“ პიესად გადაეკეთებინა და მას „მუშკეტერები“ დაარქვა. იგი თეატრ „ამბიგიუ-კომიკში“ დაიდგა და უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. ავტორი იმდენად პოპულარული იყო, რომ სადაც კი მიდიოდა, ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა. როცა ცნობილი მსახიობის ქალბატონ მარსის დასაფლავებაზე მივიდა, ყველა მას უყურებდა, იმ მომენტისთვის ყოვლად შეუფერებელი თითქმის ოვაციაც კი მოუწყვეს.**



ვიქტორ ჰიუგოც ესწრებოდა დასაფლავებას, მაგრამ იგი თითქოს ვერავინ იცნოო. დიდი პოეტი აღშფოთდა: იგი ხომ აკადემიკოსია, საფრანგეთის პერია, ეს კი რა ხდება – თანამედროვეები მასზე მაღლა ამ ლიტერატურულ მეტიჩარას აყენებენ, ადამიანს, რომელიც უკვე რამდენი ხანია ასულელებს მათ. ჰიუგო აღშფოთებით წერდა: „ამ ხალხს სახელი და დიდება სჭირდება. როცა მას აღარც მარენგო აქვს და აღარც აუსტერლიცი (ადგილები, სადაც ნაპოლეონმა დიდი გამარჯვებები იზეიმაძ, მას უნდა უყვარდეს და უყვარს კიდეც სხვადასხვა (!ძ დიუმები და ლამარტინები“. ასეთ სიტყვებს დიუმა ყოფილი მეგობრისგან აშკარად არ იმსახურებდა.

### დიდებული ციხე-დარბაზი „მონტე-კრისტო“

**ალექსანდრე დიუმასათვის შეიძლებოდა ხუმრობით „ფინანსური გიგანტიც“ კი ეწოდებინათ. ხან დიდი სიმდიდრე ჰქონდა, რომელსაც პირდაპირ ელვის სისწრაფით ფლანგავდა, ხან საერთოდ, რომ იტყვიან, უკაპიკოდ რჩებოდა.**

ერთ პერიოდში, როცა მართლაც არნახული შემოსავალი ჰქონდა, მწერალმა გადაწყვიტა თავისი ახალი „რეზიდენციისთვის“ „მონტე-კრისტო“ ეწოდებინა. ეს იყო ნაწილობრივ აღორძინების სტილით აგებული შენობა, რომელსაც გვერდებზე ორი კოშკი მიადგეს. სამ სართულზე (თითოეულში 5-5 ოთახი იყოძ დააწყეს უამრავი ძველებური ნივთი, შუასაუკუნებრივი რელიკვია თუ დიდი მხატვრების შედევრები. ამ ოთახებს რომ გაივლიდა, მნახველს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეპოქიდან ეპოქაში, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდა.

შენობის ფასადი დამშვენებული იყო ქვის მედალიონებით, ჰომეროსის და ვერგილიუსის, შექსპირისა და რასინის, დანტესა და მოლიერის, ბაირონისა და ჰიუგოს გამოსახულებით. შესასვლელ კარებთან დიუმას გერბზე ეწერა მისი დევიზი: „მიყვარს ყველა, ვისაც მე ვუყვარვარ“.

ციხე-კოშკის „პრეზენტაცია“ 1847 წლის 27 ივლისს დაინიშნა. ბანკეტზე მწერალმა 600კაცი დაპატიჟა (ამ რიცხვზე ჩვენს „ახალ ქართველებს“ ნამდვილად გაეცინებოდათძ.

რა იცოდა ამ რაბლესებურმა „მხიარულმა გოლიათმა“, რომ იგი მალე მთლიანად გაკოტრდებოდა და კრედიტორებისგან თავის დასაღწევად ბელგიაში გაიქცეოდა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი — 9 მარტი

**წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად (IVძ და მეორედ (452ძ პოვნა; ღირსისა იოანე მომკელისა, კალაბრიელისა (X-XIძ; ღირსისა ბოიზილ შოტლანდიელისა (664ძ; წმიდისა ეთელბერტისა, ინგლისის მეფისა (616ძ.**



ამოდის 06.28
ჩადის 17.57



ამოდის 21.37
ჩადის 09.17

### დაიბადნენ:

1454 – **ამერიგო ვესპუჩი,** იტალიელი ზღვაოსანი, მის სახელს ატარებს ორივე ამერიკის კონტინენტი. გარდაიცვალა 1512 წელს.
1814 – **ტარას შევჩენკო,** უკრაინელი პოეტი.
1900 – **ფრედერიკ ჟოლიო-კიური,** ფრანგი ფიზიკოსი.
1934 – **იური გაგარინი,** პირველი კოსმონავტი. გარდაიცვალა 1968 წელს.
1943 – **რობერტ ფიშერი,** ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.
1944 – **ნუგზარ შატაიძე,** მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

1888 – **ვილჰელმ I,** გერმანიის იმპერატორი.
1918 – **ფრანც ვედეკინდი,** გერმანელი დრამატურგი.

### მოვლენები:

1074 – პაპმა გრიგორი VII ეკლესიისგან განკვეთა ყველა დაოჯახებული მღვდელი.
1226 – ხორეზმელთა ლაშქარმა ჯალალ ედ-დინის მეთაურობით აიღო თბილისი.
1956 – თბილისში სკკპ პოლიტბიუროს მითითებით დახვრიტეს სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაცია.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +14 |
| ქუთაისი. | +5 – +18 |
| ბათუმი. | +6 – +12 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | +5 – +13 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– რა გქვიათ?
– ივან ივანიჩი ან ივან სერგეევიჩი.
– არ იცით თუ არ გახსოვთ?
– არა, მე კი მახსოვს... აი, დედაჩემი არ არის დარწმუნებული!

* * *

მიხო და მარო საუბრობენ:
– მიხო, რას ფიქრობ სექსზე?
– მარო, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! ექვსი შვილი მყავს და თეორიებისთვის მცალია?



* * *

ატომური წყალქვეშა ნავის კაპიტანმა მოადგილე გამოიძახა:
– ეს რა ბიძგი იყო ამ ორიოდე წუთის წინათ?
– ეს ისა... მიჩმანმა ივანოვმა რადიოგრამა მიიღო, რომ მისი ცოლი ვიღაც თათართან ერთად ნიცაში წასულა დასასვენებლად...
– მერე?
– უკვე არ არსებობს ნიცა...

* * *

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმასთან შედარებით მოზარდის ეროტიკული ფანტაზიები საკმაოდ რეალურად გამოიყურება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.